ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

ISSN 0206-2674

თბილისი
1986

МАРТ **№ 3** მარტი

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

# СБОРНИК ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

ТБИЛИСИ
1986

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი ე. ქურციკიძე
ტექრედაქტორი ა. ბაკურაძე
კორექტორი ლ. დოლიძე

გადაეცა ასაწყობად 20/VI-86 წ.; ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/VIII-86 წ.;
ანაწყობის ზომა $6^1/_4 \times 9$; ქაღალდის ზომა $60 \times 84$; ნაბეჭდი თაბახი 5;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,50.

შეკვეთა № 583 უე 10294 ტირაჟი 6000

უფასო

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა, ნუცუბიძის ქ. № 7
Типография Министерства просвещения Грузинской ССР, ул. Нуцубидзе № 7

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1986 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება

## ხელმძღვანელი კადრების მოძრაობისა და რეზერვთან მუშაობის მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნომენკლატურაში შემავალი ხელმძღვანელი კადრების მოძრაობის 1985 წლის ანალიზმა ცხადყო, რომ რესპუბლიკის ზოგიერთ რეგიონში (აჭარის ასსრ, ქ. ქუთაისი, ჭიათურის, ახალციხის, ახალქალაქის, ახმეტის, მარნეულის, მახარაძის რაიონები) 1985 წელს, 1984 წელთან შედარებით, შემცირდა სამუშაოდან განთავისუფლებულ ხელმძღვანელ მუშაკთა რაოდენობა, მაგრამ მთლიანად, რესპუბლიკაში ხელმძღვანელი კადრების კვლავ დიდი დენადობაა (1984 წელს გათავისუფლდა 298 ხელმძღვანელი მუშაკი, ხოლო 1985 წელს — 285, ე. ი. მხოლოდ 13 კაცით ნაკლები).

ხელმძღვანელი კადრების დენადობის და შესაბამისად სხვადასხვა დარღვევებისათვის სამუშაოდან დათხოვნის, პირადი განცხადების საფუძველზე განთავისუფლების, ან იმავე სისტემის სხვა დაწესებულებებში დაუსაბუთებელად გადასულ მუშაკთა დიდი რაოდენობა გამოვლინდა ქ. თბილისში, სადაც 1985 წელს, 1984 წელთან შედარებით, 8 კაცით მეტი მუშაკი იქნა განთავისუფლებული (1984 წელს იყო 55, 1985 წელს — 63). ამავე მიზეზით განთავისუფლებულთა რიცხვმა გარდაბნის რაიონში 7-ით იმატა, დმანისის რაიონში — 6-ით, მცხეთის რაიონში 5-ით, ქ. ზუგდიდში და ლაგოდეხის რაიონში 4—4-ით.

ადგილი აქვს ხელმძღვანელ თანამდებობებზე ისეთი პირების დანიშვნის შემთხვევებს, რომელთაც არ შესწევთ ორგანიზატორული მუშაობის უნარი, თავს ვერ ართმევენ დაკისრებული მოვალეობის შესრულებას და ამიტომ დაკავებული თანამდებობიდან თავისუფლდებიან. მაგალითად ამხ. რ. ზარნაძემ სულ რამდენიმე თვე იმუშავა გარდაბნის რაიონის თელეთის საშუალო სკოლის დირექტორად. ასევე მხოლოდ 10 თვე იმუშავა თბილისის 131-ე საშუალო სკოლის დირექტორად ამხ. დ. გაჩეჩილაძემ.

აღნიშნული ნაკლოვანებები გამოწვეულია იმით, რომ რესპუბლიკის სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების გარკვეული ნაწილი მთელი პასუხისმგებლობით არ ეკიდება ხელმძღვანელ კადრებთან მუშაობას, მათი დაუსაბუთებელი მოძრაობის აღმოფხვრის საქმეს, არ ითვალისწინებს პედაგოგიური კოლექტივების კონკრეტულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირობებს და სპეციფიკურ თავისებურებებს ხელმძღვანელთა დანიშვნისას, არ სწავლობს და არ ანზოგადებს სკოლის ხელმძღვანელობის საუკეთესო გამოცდილებას, არ ანხორციელებს საჭირო ღონისძიებებს, რომლებიც მიმართული იქნებოდა ხელმძღვანელი კადრების შემადგენლობის სტაბილურობის, დაკისრებული მოვალეობის წარმატებით შესრულებისა და მათთვის სათანადო პირობების შექმნისათვის.

სათანადო ყურადღება არ ექცევა ხელმძღვანელი კადრების რეზერვთან მუშაობას. არადამაკმაყოფილებლად სრულდება „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ნომენკლატურული კადრების რეზერვის დებულების შესახებ" საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის 6 აგვისტოს წერილის შესაბამისად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ხელმძღვანელი კადრების რეზერვთან მუშაობის დებულების მოთხოვნები. 1985 წელს თბილისში დანიშნული 28 დირექტორიდან მხოლოდ ერთს ჰქონდა ხელმძღვანელ მუშაკთა რეზერვის კურსები გავლილი, მაშინ როდესაც აღნიშნული კურსები ბოლო წლების განმავლობაში 113 კაცმა გაიარა.

ხელმძღვანელი კადრების რეზერვთან არადამაკმაყოფილებელი მუშაობით არის გამოწვეული ის, რომ ზოგჯერ ვაკანტურ ადგილზე დასანიშნად დროზე ვერ არჩევენ სათანადო კანდიდატურას, რის გამოც სკოლას ხანგრძლივი დროის მანძილზე ხელმძღვანელი არ ჰყავს. მაგალითად, მცხეთის რაიონის სოფელ გლდანის საშუალო სკოლაში 1985 წლის ოქტომბრიდან ვაკანტურია სკოლის დირექტორის თანამდებობა, თუმცა განათლების სამინისტროს კადრების სამმართველომ არაერთხელ შეახსენა განათლების განყოფილების ხელმძღვანელობას, რომ დასანიშნად სათანადო კადრი წარმოედგინა. ამავე რაიონის სოფელ გალავნის საშუალო სკოლას გასულ წელს ხანგრძლივი დროის მანძილზე არ ჰყავდა დირექტორი, რის გამოც სამინისტრო იძულებული გახდა დათანხმებოდა რაიონის მიერ წარმოდგენილ კანდიდატურას (ყოფილი გამგე ე. ხარაბაძე). ასევე სამი თვის განმავლობაში ვაკანტური იყო თბილისის 67-ე საშუალო სკოლის დირექტორის თანამდებობა. სამი თვის შემდეგ ამ თანამდებობაზე გადაყვანილ იქნა საღამოს სკოლის დირექტორი მ. ხაჩიძე, ანალოგიურ შემთხვევებს ადგილი ჰქონდა ორჯონიკიძის რაიონშიც.

აღნიშნული მდგომარეობა იმანაც განაპირობა, რომ სამინისტროს კადრების სამმართველომ არ შეასრულა კოლეგიის 1985 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილების მე-4 პარაგრაფით გათვალისწინებული მოთხოვნა — ახალი კანდიდატურის წარმოდგენამდე არ გაეფორმებინა ბრძანება მუშაკის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

ხელმძღვანელი კადრების მოძრაობის შემცირებისა და ზოგადსა-
განმანათლებლო სკოლების ხელმძღვანელი კადრების რეზერვთან მუ-
შაობის გაუმჯობესების მიზნით კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

— გააანალიზონ ხელმძღვანელი კადრების დენადობის მიზეზები, შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იქნება ხელმძღვანელი კადრების სკოლებსა და სახალხო განათლების ორგანოებში დამაგრებისათვის.

— გაჭიანურებული ვაკანსიების, თანამდებობებზე შემთხვევითი პირების დანიშვნის თავიდან აცილების მიზნით მიიღონ გადამჭრელი ზომები „საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის ნომენკლატურული კადრების რეზერვის დებულების შესახებ“ უთუოდ შესრულებისათვის.

— ჩაატარონ საჭირო მუშაობა ხელმძღვანელ თანამდებობებზე დასაწინაურებლად სათანადო რეზერვის შესაქმნელად, შეავსონ იგი საუკეთესო მუშაკებით, რომლებმაც ორგანიზატორული მუშაობის განსაკუთრებული უნარი და ნიჭი გამოიჩინეს და უზრუნველყონ მათთან ეფექტური მუშაობა, სკოლების მომავალი ხელმძღვანელების ინდივიდუალური თვისებების, აგრეთვე მათი მომავალი მუშაობის თავისებურებათა გათვალისწინებით.

— ყოველი წლის 1-ლი ოქტომბრისათვის სამინისტროში წარმოადგინონ ინფორმაცია კოლეგიის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების შესასრულებლად გაწეული მუშაობის შესახებ.

2. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა (ამხ. გ. გვათუა):

— მიაღწიოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ხელმძღვანელ მუშაკთა რეზერვის კურსების მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებას, ამ მიზნით გადაამუშაოს სასწავლო გეგმები და პროგრამები, რომლებშიც აისახება სკკპ 27-ე და საქართველოს კპ 27-ე ყრილობების გადაწყვეტილებები, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის მოთხოვნები.

— კურსებზე სამუშაოდ მიიზიდონ სკოლების გამოცდილი ხელმძღვანელი მუშაკები, რომელთა პრაქტიკული საქმიანობა საყოველთაო განზოგადების საგანი გახდა.

3. კადრების სამმართველომ (ამხ. ა. ვაჩნაძე):

— განათლების ადგილობრივ ორგანოებში საკადრო საკითხების შესწავლის დროს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ხელმძღვა-

ნელი კადრების დენადობის გამომწვევი მიზეზების შესწავლას და რეზერვთან მუშაობას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მიმდინარე წლის მე-3 კვარტალში შეისწავლოს ქ. თბილისისა და მცხეთის რაიონში კადრებთან მუშაობის მდგომარეობის საკითხი.

4. მკაცრად იქნეს გაფრთხილებული კადრების სამმართველოს უფროსი ამხ. ა. ვაჩნაძე, რათა მიიღოს საჭირო ზომები გაჭიანურებული ვაკანსიების ალსაკვეთად და ხელმძღვანელი კადრების რეზერვთან მუშაობის გასაუმჯობესებლად.

5. კონტროლი ალნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კადრების სამმართველოს (ამხ. ა. ვაჩნაძე).

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ნ. შ. ვასაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1986 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება

## საჩხერის რაიონის სკოლამდელ დაწესებულებათა აღსაზრდელებში შრომის ჩვევების დანერგვის მდგომარეობისა და გაუმჯობესების შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ საჩხერის რაიონის სკოლამდელ დაწესებულებებში გარკვეული მუშაობა ტარდება ბავშვებში შრომისადმი დადებითი დამოკიდებულების, სიყვარულისა და ინტერესის აღზრდის მიზნით.

ამასთან ერთად, შეინიშნება, სერიოზული ნაკლოვანებანი. თანამიმდევრობით, სრულყოფილად არ ხორციელდება შრომითი აღზრდის პროგრამის ძირითადი სახეები (თვითმომსახურება, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო, ბუნებაში და ხელით შრომა), რომლებიც ითვალისწინებენ ბავშვებში შრომის ელემენტალური ჩვევების დანერგვასა და მათი სკოლისათვის მომზადებას.

სოფელ გორისას საბავშვო ბაღში (გამგე ნ. ნადირაძე) ბავშვები დაუფლებული არ არიან თვითმომსახურების ჩვევებს, არ შესწევთ პირადი ნივთების გამოყენების უნარი (თმის, ტანსაცმლის დამოუკიდებლად მოწესრიგება), საჩხერის № 1-ლ საბავშვო ბაღში (გამგე გ. დავაძე) მოისუსტებს სამეურნეო-საყოფაცხოვრებო შრომა, სისტემატური ხასიათი არ აქვს ბავშვთა მორიგეობას, როგორც შრომის ორგანიზაციის ფორმას. სოფლების არგვეთისა და გორისას საბავშვო ბაღებში (გამგეები ნ. ნადირაძე, ნ. გოშაძე) სათანადო ყურადღება არ ექცევა ბუნებაში შრომას. ამ სკოლამდელ დაწესებულებათა მიწის ნაკვეთები არ არის სწორად დაგეგმილი და დანიშნულებისამებრ გამოყენებული, კერძოდ, გამოუყენებელია ბოსტანი და ყვავილნარი ბავშვების სამუშაოდ და დასაკვირვებლად. საჩხერის №1-ლ და № 2 ბაგა-ბაღებში (გამგეები ც. ნოზაძე ლ. პაპიძე) ბუნების კუთხეები სრულყოფილად არ არის მოწყობილი, აკლია მცენარეები, ცოცხალი ობიექტები ბავშვთა ასაკობრივ მოთხოვნათა შესაბამისად. რაიონის სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა ქვეჯგუფებთან არაორგანიზებულად მიმდინარეობს ხელით შრომა (ქსოვილზე ღილების დაკერება. მაკრატლის ხმარება). საჩხერის № 3, სოფელ არგვეთის ბაგა-ბაღებში (აღმზრდელები თ. იაკობიძე, ნ. გრძელიშვილი), ბავშვებში უფროსების შრომისადმი პატივისცემის აღზრდის მიზნით, არ ეწყობა ექსკურსიები თავისი რაიონის (სოფლის) შრომითი ტრადიციების გასაცნობად, შეხვედრები შრომის მოწინავეებთან, სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან. სკოლის ასაკს მიღწეულ ბავშვთა უმრავლესო-

ბამ არ იცის საკუთარი მშობლების პროფესიისა და საქმიანობის სა-
სახებაც კი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლამდელი ასაკის ბავშვთა შრომით აღზრდაში გამოვლენილი ნაკლოვანებანი, ძირითადად, განპირობებულია იმითაც, რომ სკოლამდელ დაწესებულებათა ხელმძღვანელებისა და აღმზრდელების ერთმა ნაწილმა ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნა მუშაობა თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე და „აღზრდის პროგრამის" შესაბამისად.

რაიონის განათლების განყოფილების გამგე ამხ. გ. აბჟანდაძე არ ახორციელებს საჭირო ხელმძღვანელობასა და კონტროლს სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობაზე, სისტემატური ხასიათი არ აქვს სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე სკოლამდელი აღზრდის შესახებ სადირექტივო და ნორმატიული დოკუმენტების განხილვას, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებასა და ადგილებზე დაყვანას. სკოლამდელი აღზრდის მეთოდისტის ს. ნასარიძის მუშაობას აკლია სიღრმე, მომთხოვნელობა, ოპერატიულობა. სკოლამდელ დაწესებულებათა პრაქტიკულ საქმიანობაში ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის დანერგილი განათლების სამინისტროს მიერ გაგზავნილი რეკომენდაცია „საბავშვო ბაღში შრომითი აღზრდის საქმიანობის პროცესში უსაფრთხოების წესების დაცვის შესახებ", მეთოდური ლიტერატურა „მიწის ნაკვეთის მნიშვნელობა და მისი მოწყობა საბავშვო ბაღში", „ხელით შრომა საბავშვო ბაღში", „ბუნების კუთხის მნიშვნელობა და მისი მოწყობა" და სხვა.

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. საჩხერის რაიონის სკოლამდელ დაწესებულებათა საქმიანობაზე სუსტი კონტროლისათვის სახალხო განათლების განყოფილების (ამხ. გ. აბჟანდაძე) მუშაობა ჩაითვალოს არადამაკმაყოფილებლად და მასვე დაევალოს:

1. 1. უახლოეს დროში გარდაქმნას მუშაობა რეფორმის მოთხოვნათა შესაბამისად, არ დაუშვას სკოლამდელი აღზრდის საკითხებზე მიღებული სადირექტივო და მეთოდური ხასიათის დოკუმენტების დაგვიანებით განხილვა ან რეაგირების გარეშე დატოვება, სისტემატური კონტროლი დააწესოს მათ შესრულებაზე;

1. 2. აამაღლოს სკოლამდელ დაწესებულებათა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა, მიაღწიოს იმას, რომ სკოლაში მისაღები ბავშვები სხვადასხვა სახის საქმიანობის დროს მოხერხებულად იყენებდნენ საგნებს, შეთანხმებულად მორიგეობდნენ ბუნების კუთხესა და სასადილო ოთახებში, ფლობდნენ ხელით შრომის ელემენტალურ ჩვევებს (ღილის დაკერება, ლურსმნის დაჭედება და სხვა), რისთვისაც ყველა სკოლამდელ დაწესებულებაში შეისწავლოს ბავშვის სკოლისათვის მომზადება, განსაკუთრებით შრომითი აღზრდის მიმართულებით. მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილოს გადამჭრელი ზომები თითოეული მათგანის შრომის კუთხეებით, შესაბამისი იარაღ-მოწყობილობებით უზრუნველყოფის მიწის ნაკვეთების სწორად დაგეგმვისა და მიზნობრივად გამოყენებისათვის;

1. 3. სკოლამდელი აღზრდის მეთოდისტის ს. ნასარიძის მიმართ, რომელმაც ვერ უზრუნველყო აღზრდის პროგრამის შესაბამისად სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის წარმართვა, გაატაროს სათანადო ზომები.

2. ბავშვებში შრომისადმი დადებითი დამოკიდებულების აღზრდის მიზნით ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (ამხ. შ. ამონაშვილი) შეიმუშაოს რეკომენდაციები და წარმოუდგინოს სამინისტროს 1986 წლის 1-ლი სექტემბრისათვის.

3. სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკურმა მეთოდურმა კაბინეტმა (ამხ. ნ. კაკაურიძე) სამი თვის ვადაში წარმოადგინოს რეკომენდაციები „ბავშვთა შრომითი აღზრდა ოჯახში" სკოლამდელი აღზრდის მეთოდურ საბჭოზე განსახილველად.

4. მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. კ. ძლიერიშვილი) ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს ინფორმაცია სკოლამდელი დაწესებულებებისათვის შრომის იარაღების წარმოებისა და მიწოდების შესახებ.

5. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ საჩხერის რაიონის სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაკებს შემოწმების პროცესში ჩაუტარდათ სემინარი ბავშვებში შრომისადმი მისწრაფებისა და ინტერესის აღზრდის საკითხებზე.

6. კოლეგიის ეს გადაწყვეტილება დაეგზავნოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებებს, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს განსახილველად და მუშაობაში გასათვალისწინებლად.

7. კოლეგიის გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლების" უახლოეს ნომერში.

8. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს სკოლამდელი აღზრდის სამმართველოს (ამხ. გ. აბდუშელიშვილი).

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ნ. შ. ვასაძე

## ПОСТАНОВЛЕНИЕ СЕКРЕТАРИАТА СОВПРОФА ГРУЗИИ, БЮРО ЦК ЛКСМ ГРУЗИИ, КОЛЛЕГИИ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГССР, КОЛЛЕГИИ МИНИСТЕРСТВА КУЛЬТУРЫ ГССР, ПРАВЛЕНИЯ СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ И ПРЕЗИДИУМА РЕСПУБЛИКАНСКОГО ПРАВЛЕНИЯ ОБЩЕСТВА ЛЮБИТЕЛЕЙ КНИГИ

### О проведении республиканской Недели детской и юношеской книги

**5 марта 1986 года**

Во исполнение постановления Секретариата ВЦСПС, Бюро ЦК ВЛКСМ, Коллегии Министерства просвещения СССР, Коллегии Министерства культуры СССР, Государственного Комитета Совета Министров СССР по делам издательства, полиграфии и книжной торговли от 16 февраля 1970 года «О проведении Недели детской и юношеской книги», Секретариат Совпрофа Грузии, Бюро ЦК ЛКСМ Грузии, коллегия Министерства просвещения ГССР, коллегия Министерства культуры ГССР, Правление Союза писателей Грузии и Президиум Республиканского общества любителей книги постановляют:

1. Провести с 24 марта по 30 марта 1986 года республиканскую Неделю детской и юношеской книги.

2. Областным советам, республиканским комитетам профсоюзов, обкомам, горкомам, райкомам комсомола, министерствам просвещения Абхазской и Аджарской АССР, отделам народного образования Юго-Осетинской АО, городов и районов республики, Управлению народного образования г. Тбилиси, министерствам культуры Абхазской и Аджарской АССР, отделам культуры Юго-Осетинской АО, городов и районов республики, областным отделениям Союза писателей Грузии организовать в библиотеках, Домах и Дворцах культуры, клубах, Домах и Дворцах пионеров и школьников, школах, кинотеатрах праздники книги, читательские конференции, встречи школьников и юношей с писателями и поэтами, с работниками редакций и издательств, экскурсии в литературный музей, типографии, оформить тематические выставки детской и юношеской литературы, практиковать проведение театрализованных представлений, литературных утренников, конкурсов на лучшего чтеца, викторин, шире привлекать учащихся к работе в литературных кружках,

к участию в творческой работе. Обратить особое внимание на проведение Недели.

3. Обязать министерства культуры Абхазской и Аджарской АССР, областной, городские и районные отделы культуры подготовить к Неделе специальные театральные и концертные программы из лучших произведений детской и юношеской литературы о Родине, дружбе народов Советского Союза, о Ленинской партии, комсомоле, рабочем классе, тружениках сельского хозяйства.

4. Редакциям газет «Норчи ленинели», «Ахалгазрда комунисти», „Молодежь Грузии», «Сахалхо ганатлеба», профсоюзных газет, редакциям журналов «Дила», «Пионери», телевизионного журнала «Труд и отдых», молодежным и детским редакциям радио и телевидения широкого освещать подгот вку и проведение Недели детской и юношеской книги.

5. Отчет об участии в республиканской Недели детской и юношеской книги местным органам представить в соответствующие министерства и ведомства не позднее 20 апреля 1986 года.

**Секретарь Совпрофа Грузии**
**З. Квачадзе**

**Министр просвещения**
**ГССР Н. Васадзе**

**Председатель Республиканского Правления общества любителей книги**
**И. Абашидзе**

**Секретарь ЦК ЛКСМ Грузии Т. Гиоргадзе**

**Министр культуры ГССР**
**В. Асатиани**

**Секретарь Правления Союза писателей Грузии**
**Р. Амашукели**

# ПОСТАНОВЛЕНИЕ СЕКРЕТАРИАТА СОВПРОФА ГРУЗИИ, СЕКРЕТАРИАТА ЦК ЛКСМ ГРУЗИИ, КОЛЛЕГИИ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГССР, КОЛЛЕГИИ МИНИСТЕРСТВА КУЛЬТУРЫ ГССР И СЕКРЕТАРИАТА ПРАВЛЕНИЯ СОЮЗА КОМПОЗИТОРОВ ГССР

## О проведении в республике Всесоюзной недели музыки для детей и юношества

**5 марта 1986 года**

Во исполнение постановления Секретариата ВЦСПС, Бюро ЦК ВЛКСМ, Коллегии Министерства культуры СССР и Секретариата Правления союза композиторов СССР от 7 марта 1972 года „О проведении Всесоюзной недели музыки для детей и юношества» Секретариат Совпрофа Грузии, Секретариат ЦК ЛКСМ Грузии, коллегия Министерства просвещения ГССР, коллегия Министерства культуры ГССР и Секретариат Правления союза композиторов ГССР постановляют:

1. Провести с 24 по 30 марта 1986 года республиканскую Неделю музыки для детей и юношества, посвященную XXVII съезду КПСС и XXVII съезду КП Грузии.

2. Рекомендовать областным Советам и республиканским комитетам профсоюзов, областным, городским и районным комитетам ЛКСМ Грузии, министерствам просвещения Абхазской и Аджарской АССР, отделам народного образования Юго-Осетинской АО, городов и районов республики, Управлению народного образования г. Тбилиси, городским и районным отделам культуры, отделу Абхазского Союза композиторов, музыкально-хореографических обществ автономных республик, городов и районов провести Неделю музыки, как большой музыкальный праздник для подрастающего поколения.

3. Основное внимание уделять пропаганде достижений советской многонациональной культуры, лучших произведений классической, народной и советской музыки.

4. В школах профессионально-технических училищах, Домах и Дворцах пионеров, клубах, Домах и Дворцах культуры, концертных залах филармонии, театрах организовать для детей и юношества музыкальные фестивали, праздники пионерской и комсомольской песни, вечера симфонической музыки, музыкальные спектакли, лекции-концерты, встречи с деятелями

искусства, тематические экскурсии, выставки, смотры, концерты детских и юношеских хоровых и хореографичесих коллективов, оркестров, ансамблей, а также музыкальные конкурсы, олимпиады и викторины. Обеспечивать широкое участие в подготовке и проведении Недели музыки композиторов, музыковедов, музыкантов-исполнителей, поэтов, кинематографистов, работников театров и концертных организаций, студентов и учащихся консерваторий; музыкальных училищ и школ. Особое внимание следует обратить на подготовку и проведение Недели музыки в сельской местности, организовывать выезды в села композиторов, музыковедов, профессиональных музыкантов-исполнителей, студентов и учащихся консерватории, музыкальных училищ и школ городских взрослых, юношеских и детских самодеятельных коллективов, а также посещение сельскими школьниками городских театров и концертных залов.

5. Активно привлекать к участию в Неделе родителей, проводить для них в культучреждениях, красных уголках беседы, консультации по вопросам музыкального воспитания детей, обзоры музыкальных произведений и книг о музыке.

6. Редакциям газет «Норчи ленинели», «Ахалгазрда комунисти», «Молодежь Грузии», профсоюзных газет, редакциям журналов «Дила», «Пионери», телевизионного журнала «Труд и отдых», молодежным и детским редакциям радио и телевидения широко освещать подготовку и проведение Недели музыки для детей и юношества.

**Секретарь Совпрофа Грузии**
**З. Квачадзе**

**Секретарь ЦК ЛКСМ Грузии Т. Гиоргадзе**

**Министр просвещения ГССР**
**Н. Васадзе**

**Министр культуры ГССР**
**В. Асатиани**

**Секретарь Союза композиторов**
**Грузии М. Давиташвили**

Приложение № 1

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

## Состав организационного комитета по проведению Недели музыки для детей и юношества

1. Давиташвили М. Ш. — секретарь Союза композиторов Грузии (председатель)

2. Гамрекели И. Б. — первый заместитель Министра культуры Грузии (заместитель)

3. Харадзе М. И. — секретарь ЦК ЛКСМ Грузии

4. Хоштария С. С. — заведующий Культманновым отделом Совпрофа Грузии

5. Мдивани Т. А. — директор Республиканского Дома художественного воспитания Минпроса ГССР

6. Гогиашвили Э. К. — директор межсоюзного Дома художественной самодеятельности Совпрофа Грузии

7. Кочечашвили Ц. Л. — директор республиканского Дома народного творчества Министерства культуры ГССР

8. Квaладзе Т. И. — директор Методического кабинета учебных заведений и школ Министерства культуры ГССР

9. Далакишвили Т. В. — заведующий Музыкальным отделом республиканского Дома художественной самодеятельности

10. Калдани Н. Т. — старший методист республиканского Дома художественной самодеятельности Совпрофа Грузии

11. Кевлишвили И. Г. — председатель профкома Грузтелерадио

12. Хомерики Т. И. — главный редактор передач Гостелерадио

13. Башарули Т. Г. — заведующий Отделом культуры и пропаганды газеты «Ахалгазрда комунисти»

14. Кочлавашвили Т. А. — заведующий Школьно-пионерским отделом газеты «Норчи ленинели»

15. Элиава Е. — заведующий Отделом культуры газеты «Молодежь Грузии»

16. Суджашвили К. А. — начальник Управления народного образования г. Тбилиси

17. Месхишвили И. — заместитель Председателя Госкомитета телевидения и радиовещания

ბიბლიოთეკა

# ПОСТАНОВЛЕНИЕ БЮРО ЦК ЛКСМ ГРУЗИИ, ВОЕННОГО СОВЕТА КЗАКВО, КОЛЛЕГИЙ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГССР, МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР, ШТАБА ГРАЖДАНСКОЙ ОБОРОНЫ ГССР, КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГССР, ПРЕЗИДИУМОВ ЦК ДОСААФ ГССР, ЦК ОБЩЕСТВА КРАСНОГО КРЕСТА ГССР, РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ДОБРОВОЛЬНОГО ПОЖАРНОГО ОБЩЕСТВА ГССР

## О проведении в 1986 году XII республиканского финала Всесоюзной пионерской военно-спортивной игры «Зарница»

**6 марта 1986 года**

Шестнадцатилетний опыт проведения Всесоюзной пионерской веонно-спортивной игры «Зарница» доказал популярность и важность этой формы патриотического и физического воспитания пионеров и школьников. «Зарница» оказывает положительное влияние на организационное укрепление отрядов и дружин, способствует развитию общественной активности пионеров, формирует качества, необходимые будущему воину, защитнику Родины.

Учитывая положительные результаты проведения Всесоюзной пионерской военно-спортивной игры «Зарница» и ее важное значение в общей системе коммунистического воспитания пионеров и школьников, Бюро ЦК ЛКСМ Грузии, коллегии Министерства просвещения ГССР, Министерства внутренних дел ГССР, Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР, Президиум ЦК ДОСААФ ГССР, ЦК общества Красного Креста ГССР, Республиканского Совета добровольного пожарного общества ГССР постановляют:

1. Совершенствовать руководство игрой «Зарница», всемерно повышать роль местных штабов в организации военно-патриотической и спортивно-массовой работы с пионерами и школьниками, шире привлекать к проведению игры комсомольцев-производственников, воинов, офицеров запаса, спортсменов, членов педагогических отрядов.

2. Провести с 17 по 23 июня 1986 года в Душети XII республиканский финал Всесоюзной пионерской военно-спортивной игры «Зарница».

3. Областные, городские, районны финалы провести до 12 мая с. г.

4. Для участия в финале пригласить 20 юноармейских отрядов-победителей областных, городских и районных финалов игры, по 20 участников и 2 руководителя (военный руководитель и секретарь ГК, РК ЛКСМ Грузии). Установить общую численность участников финала в количестве 500 человек.

5. Подготовку и проведение финала, обеспечение необходимыми боевыми и техническими средствами, а также другими материальными ценностями поручить Отделу учащейся молодежи и пионеров ЦК ЛКСМ Грузии, Управлению воспитательной работы и Управлению начальной военной подготовки Министерства просвещения ГССР, Управлению пожарной охраны и ГАИ Министерства внутренних дел ГССР, Управлению боевой подготовки штаба ГО ГССР, Отделу организационно-массовой работы и военно-патриотической организации ЦК ДОСААФ ГССР, обществу Красного Креста ГССР, Отделу организационно-массовой работы ЦК Республиканского Совета добровольного пожарного общества, Республиканскому штабу «Зарница» и заинтересованным организациям.

6. Смету расходов на проведение республиканского финала «Зарница» утвердить.

Организациям, выделяющим средства для проведения XII республиканского финала военно-спортивной игры «Зарница» перечислить деньги на расчетный счет № 000120224 Октябрьского районного Госбанка Г. Тбилиси (Детско-юношеская центральная республиканская спортивная школа Министерства просвещения ГССР) не позднее 31 марта с. г.

— Оплату проезда до Душети и обратно, суточных за время пути участникам и руководителям юноармейских отрядов производят соответствующие местные органы народного образования. Оплату командировочных расходов комсомольским работникам производит ЦК ЛКСМ Грузии.

7. Редакциям газет «Ахалгазрда комунисти», «Молодежь Грузии», «Сахалхо ганатлеба», «Норчи ленинели», «Лело», журналов «Пионери», «Скола да цховреба», «Мартве», молодежных передач Грузинского телевидения и радио вести пропаганду военно-патриотического воспитания, оборонно-массовой и спортивной работы среди пионеров и школьников, игры «Зарница», освещать подготовку и проведение XII республиканского финала.

**Секретарь ЦК ЛКСМ Грузии Д. Маргвелидзе**

**Заместитель командующего войсками КЗакВО, генерал-майор С. Яцук**

**Министр просвещения ГССР Н. Васадзе**

**Председатель ЦК ДОСААФ ГССР Г. Нанеишвили**

**Председатель Комитета по физической культуре и спорту ГССР Н. Энделадзе**

**Министр внутренних дел ГССР Ш. Горгодзе**

**Начальник штаба гражданской обороны ГССР М. Элбакидзе**

**Председатель Республиканского Совета добровольного пожарного общества ГССР Г. Согорашвили**

**Председатель ЦК общества Красного Креста ГССР С. Амиридзе**

F5400

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვამტკიცებ
საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ნ. შ. ვასაძე

14 მარტი 1986 წ.

## ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა გამოცდების, გადაყვანისა და გამოშვების ინსტრუქციაში ცვლილებების შეტანის შესახებ

მიმდინარე, 1985—1986 სასწავლო წელს, სკოლები კლასიდან კლასში მოსწავლეთა გადაყვანისა და გამოსაშვები გამოცდების დროს, იხელმძღვანელებენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის მიერ 1983 წლის 30 მარტს დამტკიცებული ინსტრუქციით და სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1985 წლის 22 აპრილის ბრძანებით დამტკიცებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა გამოცდებისა და გადაყვანის ტიპობრივი ინსტრუქციით გათვალისწინებული შემდეგი ცვლილებებით:

1-ლ მუხლში: 1985—1986 სასწავლო წელს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების I, VIII და X (XI) კლასებში მეცადინეობა წყდება 24 მაისს, II-VI და IX-(X) კლასებში — 29 მაისს, V-VII კლასებში — 23 მაისს.

მე-2 მუხლში: VIII კლასებში გამოცდები ტარდება 2-დან 12 ივნისამდე (ჩათვლით). საღამოს სკოლის VIII კლასებში—2 ივნისიდან, 8 სამუშაო დღის განმავლობაში, X კლასებში — 31 მაისიდან 21 ივნისამდე (ჩათვლით), (სკოლის დირექციას უფლება ეძლევა გამოცდები X კლასებში დაამთავროს უფრო ადრე, თუ სკოლას ამის საშუალება აქვს, მაგრამ არაუადრეს 18 ივნისისა), საღამოს სკოლების XI კლასებში გამოცდები ტარდება 31 მაისიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში.

მშობლიური ენა (სწავლების ენა) და ლიტერატურა, ალგებრა და ანალიზის საწყისები და გეომეტრია განიხილება, როგორც დამოუკიდებელი საგნები.

ექსტერნები არასრული საშუალო განათლების მოწმობებისა და საშუალო განათლების ატესტატების მისაღებ გამოცდებს აბარებენ სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1985 წლის 30 ივლისის № 140 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

ექსტერნის წესით გამოცდების ჩაბარების მსურველი განცხადებას და ყველა საჭირო საბუთს წარმოადგენს ქალაქის (რაიონის) განათლების განყოფილებაში გამოცდების დაწყებამდე 3 თვით ადრე.

განათლების განყოფილება ექსტერნის წესით გამოცდებისათვის შეარჩევს მხოლოდ ერთ დღის სკოლას და გამოაქვეყნებს ადგილობრივ პრესაში.

ექსტერნის წესით გამოცდების ჩატარების ორგანიზაცია ევალება შესაბამისი ქალაქის (რაიონის) სახალხო განათლების განყოფილებას და სკოლას.

მე-5 მუხლში: V-VII კლასებში შრომითი პრაქტიკა ტარდება 24-დან 29 მაისამდე. თუ შრომითი პრაქტიკა სასწავლო წლის განმავლობაში ჩატარდება, მეცადინეობა ამ კლასებში 29 მაისს დამთავრდება.

მე-6 მუხლში: დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების IX კლასებში შრომითი პრაქტიკა (22 დღე) ტარდება 30 მაისიდან 24 ივნისამდე (ჩათვლით). ის IX კლასები, რომელთაც შრომითი პრაქტიკა სასწავლო წლის განმავლობაში ჩაუტარდათ, მეცადინეობას აგრძელებენ ივნისის თვეში იმ დროის ხანგრძლივობით, რაც შრომითი პრაქტიკის ჩატარებაზე დაიხარჯა.

მე-9 მუხლში: I კლასის მასწავლებელი სასწავლო წლის ბოლოს ადგენს თითოეული მოსწავლის პედაგოგიურ დახასიათებას, რის საფუძველზეც ხდება მათი II კლასში გადაყვანა.

მე-11 მუხლში: წლიური შეფასებები საგნებში მასწავლებლებს გამოყავთ სემესტრული შეფასებების საფუძველზე, 2-3 დღით ადრე მეცადინეობის შეწყვეტამდე, მოსწავლეთა ცოდნის, უნარისა და ჩვევების ფაქტობრივი დონის გათვალისწინებით, ხოლო ყოფაქცევასა და ბეჯითობაში — I-III კლასების მასწავლებლებს, IV-X (XI) კლასებში კლასის ხელმძღვანელებს „ყოფაქცევის, სწავლებასა და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ბეჯითობისათვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა შეფასების შესახებ“ სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1985 წლის 22 აპრილს დამტკიცებული № 67 ინსტრუქციის მოთხოვნათა შესაბამისად.

გამოსაშვები X (XI) კლასების მოსწავლეები, რომელთაც ყოფაქცევაში წლიური არადამაკმაყოფილებელი შეფასება აქვთ, გამოცდებზე არ დაიშვებიან და მიეცემათ ცნობა საშუალო სკოლის კურსის მოსმენის შესახებ.

გამოსაშვები X (XI) კლასების მოსწავლეები, რომელთაც სწავლასა და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ბეჯითობისათვის „არადამაკმაყოფილებელი“ შეფასება აქვთ“, ყველა სასწავლო საგანში დადებითი შეფასებისას გამოცდაზე დაიშვებიან. გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში მათ მიეცემათ საშუალო განათლების ატესტატი ჩანაწერით — „არადამაკმაყოფილებელი“ — სწავლისა და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ბეჯითობისათვის.

VIII კლასის მოსწავლეები, რომლებსაც ყველა სასწავლო საგანში საბოლოო დადებითი შეფასება აქვთ, ხოლო ყოფაქცევაში ან სწავლასა და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ბეჯითობისათვის „არადამაკმაყოფილებელი“ შეფასება აქვთ, ან ორივე შეფასება „არადამაკმაყოფილებელია“, მიიღებენ არასრული საშუალო განათლების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწმობას ყოფაქცევისა და ბეჯითობისათვის შეფასების გრაფებში შესაბამისი ჩანაწერით. საკითხი ასეთი მოსწავლეების IX კლასში ჩარიცხვის შესახებ შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ.

მე-12 და მე-13 მუხლებში: II-X (XI) კლასების იმ მოსწავლეებს, რომელთაც არაუმეტეს ორ საგანში წლიური ან საბოლოო არადამაკმაყოფილებელი შეფასება აქვთ, ეძლევათ ამ საგნებში საშემოდგომო დავალება ან გამოცდა. აღნიშნულ საგნებში 2-დან 21- ივნისამდე სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული ცხრილის მიხედვით II-IX (X) კლასების მოსწავლეებს ჩაუტარდებათ ყოველდღიური დამატებითი მეცადინეობა. დასწრებას უზრუნველყოფენ კლასის ხელმძღვანელები. 20-28 აგვისტოს ჩატარდება II-VII, IX (X) კლასებში საშემოდგომო დავალების შემოწმება, VIII და X (XI) კლასებში — გამოცდები (საგამოცდო საგნებში) ან საშემოდგომო დავალების შესრულების შემოწმება (არასაგამოცდო საგნებში). ამ მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანის, გამოშვების ან იმავე კლასში დატოვების საკითხი გადაწყდება პედაგოგიური კაბჭოს სხდომაზე.

მოსწავლეები, გარდა VIII და X (XI) კლასებისა, რომელთაც აქვთ „არადამაკმაყოფილებელი“ შეფასება არა უმეტეს ორ საგანში, გამონაკლისს შემთხვევაში, პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება გადაყვანილ იქნენ შემდგომ კლასში „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სწავლაში ჩამორჩენილ მოსწავლეთა პირობით გადაყვანის შესახებ“ სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1985 წლის 22 აპრილს დამტკიცებული № 65 ინსტრუქციის მოთხოვნათა შესაბამისად.

პირობით გადაყვანილი მოსწავლეები, რომლებმაც დანიშნულ დროში ცოდნაში არსებული ხარვეზები ვერ დაძლიეს დატოვებული იქნებიან იმავე კლასში, რომლიდანაც არიან გადაყვანილი.

მე-16 მუხლში: I-III კლასების მოსწავლეთა გადაყვანა სხვა სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში, აგრეთვე მათი დატოვება განმეორებითი სწავლებისათვის ხორციელდება მედიკო-პედაგოგიური კომისიების დასკვნის გათვალისწინებით.

არასრული საშუალო სკოლის VIII კლასების ქართულ სკოლებში გამოცდები ტარდება მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა-თხზულება), მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (ზეპირი). ალგებრაში (წერა), გეომეტრიაში (ზეპირი), სულ 4 გამოცდა.

რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ სკოლებში გამოცდები ტარდება მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა-თხზულება), მშობლიურ ენაში (ზეპირი) ალგებრაში (წერა), გეომეტრიაში (ზეპირი), სულ 4 გამოცდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგი საგნების უცხოურ ენაზე სწავლების მქონე სკოლებში 27-28 მაისს დამატებით ტარდება ზეპირი გამოცდა ამ საგანში.

63-ე მუხლში: წერითი გამოცდები ტარდება ალგებრაში 2 ივნისს, მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში — 9 ივნისს.

იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც ავადმყოფობის გამო გამოცდებზე ვერ გამოცხადდნენ და გამოჯანმრთელდნენ, განმეორებითი წერითი გამოცდები ჩატარდება ალგებრაში — 6 ივნისს, მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში — 11 ივნისს.

67-ე მუხლში: საშუალო განათლების ატესტატის მისაღები გამოცდები რესპუბლიკის ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ სკოლებში ტარდება შემდეგ საგნებში:

მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერითი), მშობლიურ ლიტერატურაში (ზეპირი), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (ზეპირი), ალგებრა და ანალიზის საწყისებში (წერითი), სსრ კავშირის ისტორიასა და საზოგადოებათმცოდნეობაში (ზეპირი), ფიზიკაში (ზეპირი), ქიმიაში (ზეპირი).

რუსულ სკოლებში — მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერითი), მშობლიურ ლიტერატურაში (ზეპირი), ალგებრა და ანალიზის საწყისებში (წერითი); სსრ კავშირის ისტორიასა და საზოგადოებათმცოდნეობაში (ზეპირი), ფიზიკაში (ზეპირი), ქიმიაში (ზეპირი), უცხოურ ენაში (ზეპირი).

რიგი საგნების უცხოურ ენაზე სწავლების ქართულ სკოლებში 7-228 მაისს დამატებით ტარდება ზეპირი გამოცდა უცხოურ ენაში.

68-ე მუხლში: ყველა ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლაში წერითი გამოცდები ტარდება მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში 31 მაისს, ალგებრა და ანალიზის საწყისებში — 7 ივნისს.

იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც ავადმყოფობის გამო გამოცდებზე ვერ გამოცხადდნენ და გამოჯანმრთელდნენ, განმეორებითი გამოცდები მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში ტარდება 11 ივნისს, ალგებრა და ანალიზის საწყისებში — 16 ივნისს.

საშემოდგომო გამოცდები მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში ტარდება 22 აგვისტოს, ალგებრა და ანალიზის საწყისებში — 25 აგვისტოს.

67-ე მუხლში: საშუალო სკოლის მოსწავლეები რომლებიც გარკვეულ პროფესიას დაეუფლნენ, საკვალიფიკაციო გამოცდებს შესაბამისად სკოლაში ან საბაზო საწარმოში აბარებენ 10-დან 15 მაისამდე, ხოლო ისინი, რომლებმაც ავტოსაქმის ან ტრაქტორისა და აგროტექნიკის საფუძვლებში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მოწმობა მიიღეს, საკვალიფიკაციო გამოცდებს ავტოინსპექციასა და აგროსამრეწველო გაერთიანების კომისიას აბარებენ 20-დან 27 მაისამდე.

72-ე მუხლში: წერითი სამუშაოს შესასრულებლად მოსწავლეებს ეძლევათ მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში 6 ასტრონომიული საათი, ალგებრა და ანალიზის საწყისებში — 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

73-ე მუხლში: საზაფხულო და განმეორებითი გამოცდებისათვის თემებს თხზულებისათვის მშობლიურ ლიეტრატურაში, მაგალითებს მათემატიკაში X (XI) გამოსაშვები კლასებისათვის ადგენს და უშუალოდ გამოცდის წინ რადიოთი და ტელევიზიით გადასცემს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო.

შენიშვნა:

თემებში საგამოცდო თხზულებისათვის და მაგალითები მათემატიკაში განმეორებითი გამოცდებისათვის გადაიცემა რადიოთი 11 და 16 ივნისს.

75-ე მუხლში: გამოსაშვები X (XI) კლასების ის მოსწავლეები, რომელთაც ავადმყოფობის გამო გამოცდები საშემოდგომოდ გადაეტანათ ან მიეცათ საშემოდგომო გამოცდა, საშუალო განათლების ატესტატის მისაღებ გამოცდებს 20-28 აგვისტოს ჩააბარებენ.

77-ე მუხლში: ოქროსა და ვერცხლის მედლის კანდიდატთა საგამოცდო წერითი ნამუშევრები სკოლის საგამოცდო კომისიის რეცენზირებით და შეფასებებით, გამოცდის ან მომდევნო დღეს ეგზავნება ქალაქის (რაიონის) სახალხო განათლების განყოფილებას.

ვერცხლის მედლით დაჯილდოების მასალებს განიხილავს რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილება (სამმართველო) და გამოიტანს შესაბამის გადაწყვეტილებას.

90-ე მუხლში: ნიშნები მოწმობასა და ატესტატში ყველა საგანში იწერება ციფრებით და ფრჩხილებში სიტყვიერად. 5 (ფრიადი), 4 (კარგი), 3 (დამაკმაყოფილებელი), ხოლო ცალკეულ დისციპლინებში, სადაც შემოღებულია ჩათვლითი სისტემა, „ჩაეთვალა“ ან „არ ჩაეთვალა“.

არასრული საშუალო განათლების წარჩინებულის მოწმობის გაცემის წესი მოცემულია სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1985 წლის 22 აპრილის № 68 ბრძანებაში.

95-ე მუხლში: არასრული საშუალო განათლების მოწმობაში ნიშნები ჩაიწერება VI-VIII კლასების სასწავლო გეგმაში შემავალ ყველა საგანსა და ყოფაქცევაში, აგრეთვე სწავლასა და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისადმი ბეჯითობაში, რომელიც მოსწავლემ VIII კლასში გამოიჩინა.

მოსწავლის ყოფაქცევის შეფასება ჩაიწერება სიტყვებით: „სანიმუშო“, „კარგი“, „დამაკმაყოფილებელი“ ან „არადამაკმაყოფილებელი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

97-ე მუხლში: საშუალო განათლების ატესტატში ნიშნები ჩაიწერება IX-X (XI) კლასების სასწავლო გეგმაში შემავალ ყველა საგანში, აგრეთვე ყოფაქცევაში, სწავლასა და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისადმი ბეჯითობაში,რომელიც მოსწავლემ გამოსაშვებ X (XI) კლასში გამოიჩინა. გეოგრაფიაში შეიტანება შესაბამისად IX კლასში გამოყვანილი წლიური ნიშანი, მოსწავლეთა ყოფაქცევის შეფასება ჩაიწერება სიტყვებით: „სანიმუშო“, „კარგი“, „დამაკმაყოფილებელი“.

გამოსაშვები X (XI) კლასის მოსწავლეებისათვის დაწესებულია შემდეგი ჯილდოები: ოქროს მედალი „სწავლაში, შრომაში წარჩინებული წარმატებისა და სანიმუშო ყოფაქცევისათვის“, ვერცხლის მედალი „სწავლაში, შრომაში წარმატებებისა და სანიმუშო ყოფაქცევისათვის“, ქების სიგელი „ცალკეული საგნების სწავლაში განსაკუთრებული წარმატებებისათვის“.

გადასაყვანი I-IX კლასების მოსწავლეები „სწავლაში, შრომაში წარჩინებული წარმატებებისა და სანიმუშო ყოფაქცევისათვის“ ჯილდოვდებიან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ქების ფურცლით.

შენიშვნები:

1. ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მოსწავლეთა შრომის, დაწყებითი სამხედრო მომზადების გაკვეთილებისა და ფიზიკური კულტურის მეცადინეობისაგან გათავისუფლება გავლენას არ ახდენს შემდეგ კლასში მათ გადაყვანასა და სკოლიდან გამოშვებაზე.

2. მოსწავლეებს, რომლებსაც, მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, უცხოურ ენაში, ფიზიკურ კულტურაში, შრომით სწავლებაში, სახვით ხელოვნებაში, მუსიკასა და სიმღერაში შეფასება არა აქვთ, არასრული საშუალო განათლების მოწმობასა და საშუალო განათლების ატესტატში ეწერებათ — „არ უსწავლია“.

მოსწავლეებს, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გათავისუფლებული არიან ფიზიკური კულტურის, შრომითი სწავლებისა და დაწყებითი სამხედრო მომზადების მეცადინეობებისაგან, — „გათავისუფლებულია“.

3. გამოსაშვები კლასების მოსწავლეები, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გათავისუფლებული არიან ფიზიკური კულტურის, შრომითი სწავლებისა და დაწყებითი სამხედრო მომზადების მეცადინეობებისაგან, შეიძლება დაჯილდოვდნენ ვერცხლის მედლით.

4. გამოსაშვები კლასების მოსწავლეები, რომლებსაც უცხოური

ენა მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო არ უსწავლიათ, მგიძ-ლება დაჯილდოვდნენ ოქროსა და ვერცხლის მედლით.

მე-12, მე-13, მე-14, მე-15 დანართებში დაემატება — სწავლასა და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ბეჯითობისათვის, აგრეთვე მე-13 დანართში — ყოფაქცევაში.

მე-12, მე-14, მე-15 დანართებიდან ამოღებულია ხაზვა.

**სკოლების სამმართველო**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1986 წლის 14 მარტის გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

## „გორკის ოლქში ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის განხორციელებისათვის მუშაობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შუქზე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა განსახორციელებლად აფხაზეთის ასსრ-ში ჩატარებული მუშაობის თაობაზე“ ზემდგომი ორგანოების დადგენილების სარეალიზაციო ღონისძიებათა შესახებ

„გორკის ოლქში ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის განხორციელებისათვის მუშაობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კრომიტეტის დადგენილების შუქზე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა განსახორციელებლად აფხაზეთის ასსრ-ში ჩატარებული მუშაობის შესახებ“ ზემდგომი ორგანოების დადგენილების შესასრულებლად კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მიღებულ იქნეს სახელმძღვანელოდ ზემდგომი ორგანოების დადგენილება „გორკის ოლქში ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის განხორციელებისათვის მუშაობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შუქზე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა განსახორციელებლად აფხაზეთის ასსრ-ში ჩატარებული მუშაობის შესახებ“.

2. დამტკიცდეს ზემოაღნიშნული დადგენილების სარეალიზაციო გეგმა (თან ერთვის).

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამმართველო-განყოფილებებმა, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

— გააძლიერონ ორგანიზატორული მუშაობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის (1984 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებათა, ზო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემდგომ გაუმჯობესებას, სწავლების ფორმების, მეთოდებისა და საშუალებების სრულყოფას, სკკპ 27-ე ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის 27-ე ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე.

4. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს მინისტრის მოადგილეებს (ამხ. ამხ. ლ. გაგუა, მ. დარჩია, ო. დოლიძე).

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი **ნ. შ. ვასაძე**

„გორკის ოლქში ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის
რეფორმის განხორციელებისათვის მუშაობისადმი პარტიული
ხელმძღვანელობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის
დადგენილების შუქზე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის
რეფორმის ძირითად მიმართულებათა განსახორციელებლად
აფხაზეთის ასსრ-ში ჩატარებული მუშაობის თაობაზე"
ზემდგომი ორგანოების დადგენილების
სარეალიზაციო ღონისძიებათა

## გ ე გ მ ა

1. ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის (1984 წ.) აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებების შესასრულებლად ორგანიზატორული მუშაობის დონის შემდგომი ამაღლებისათვის ძალების მობილიზება.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამმართველო-განყოფილებები, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი

სისტემატურად

2. ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა ეტაპობრივად განხორციელების გეგმაში კორექტივების შეტანა გამომდინარე ზემდგომი ორგანოების დადგენილებიდან „გორკის ოლქში ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის განხორციელებისათვის მუშაობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შუქზე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა განსახორციელებლად აფხაზეთის ასსრ-ში ჩატარებული მუშაობის თაობაზე".

განათლების რაიონული (საქალაქო) განყოფილებები

1986 წ.

3. რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებათა მუშაობის სტილისა და მეთოდების შესწავლა სკოლის რეფორმის მოთხოვნათა სარეალიზაციოდ.

სკოლების სამმართველო

1986 წ.

4. რესპუბლიკური თათბირ-სემინარის ჩატარება მმართველობითი ორგანოების მუშაობის სტილისა და მეთოდების გაუმჯობესების,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლებისა და სხვა აღმზრდელობითი დაწესებულებების საქმიანობის, საინსპექტორო კონტროლის მოწესრიგების საკითხებზე.

განათლების სამინისტროს ხელმძღვანელობა
1987 წ.

5. დამატებითი ღონისძიებების განხორციელება სოფლის სკოლების მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრებით უზრუნველყოფისათვის, ამ მიზნით მოსამზადებელი განყოფილებების შესაძლებლობებისა და ლიმიტების ეფექტურად გამოყენება.

კადრების სამმართველო, განათლების განყოფილებები
1986—1990 წ. წ.

6. პედაგოგიური კადრების განაწილებით ადგილებზე დამაგრების, მასწავლებელთა შრომისა და ყოფაცხოვრების, მათთვის დადგენილი შეღავათების გამოყენების მდგომარეობის (შერჩევით 3-4 რაიონი )შესწავლა და შესაბამისი ღონისძიებების შემუშავება.

კადრების სამმართველო
1986—1987 წ. წ.

7. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის მუშაობის შესწავლა და წინადადებების შემუშავება რესპუბლიკაში პედაგოგიური კადრების კვალიფიკაციის ამაღლების, გადამზადების შემდგომი მოწესრიგების მიზნით.

კადრების სამმართველო
1986 წ.

8. კონკრეტული ღონისძიებების გატარება მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის გაუმჯობესებისათვის, სკოლების მუშაობის პრაქტიკაში პოლიტიკური წრეების, კლუბების, ლექტორთა ჯგუფების, აგიტბრიგადების აქტიურად დანერგვა; მოსწავლეთა პოლიტიკური განათლების სისტემის სრულყოფა. იდეურ-აღმზრდელობით მუშაობაში სკკპ 27-ე ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის 27-ე ყრილობის მასალების ქმედითად გამოყენება.

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო,
სახალხო განათლების განყოფილებები
სისტემატურად

9. ღონისძიებების განხორციელება კომკავშირული, პიონერული ორგანიზაციების, მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოების როლისა და ავტორიტეტის ამაღლების, მოსწავლეთა აღზრდის, მათი იდეურ-ზნეობრივი და მოქალაქეებად ჩამოყალიბების საქმეში. მოსწავლეთა კომიტეტების პასუხისმგებლობის გაძლიერება დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცების, შრომითი და შემეცნებითი აქტივობის

ამაღლებისათვის ბრძოლაში, მოსწავლეთა ინიციატივისა და თვით შემოქმედების ყოველმხრივ განვითარება და სტიმულის მიცემა.

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო,
სახალხო განათლების განყოფილებები
სისტემატურად

10. კონკრეტული ღონისძიებების გატარება არასრულწლოვანთა შორის სამართლებრივი აღზრდის სრულყოფისა და მართლწესრიგის დარღვევის პროფილაქტიკის მიზნით. სამართლებრივი პროპაგანდის ფორმებისა და მეთოდების მრავალფეროვნების უფრო აქტიურად გამოყენება. ბავშვთა დანაშაულობების მიმართ ბრძოლის გაძლიერება მართლწესრიგის დარღვევის ყოველ ფაქტზე ოპერატიული რეაგირება, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევებისადმი საყოველთაო შეურიგებლობისა და საერთო განკიცხვის ატმოსფეროს შექმნა. ამ საქმეში ადმინისტრაციულ ორგანოებთან, სხვა დაინტერესებულ ორგანოებსა და დაწესებულებებთან ერთად კონტროლის გაძლიერება.

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო,
სახალხო განათლების განყოფილებები
სისტემატურად

11. ოჯახური აღზრდის ეფექტურობის მიზნით მშობელთა კომიტეტების მუშაობის ამაღლება, სკოლისგარეშე მუშაობაში მშობლების ფართოდ ჩაბმა, მშობელთათვის პედაგოგიური ცოდნის უნივერსიტეტების ქსელის გაფართოება.

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო,
სახალხო განათლების განყოფილებები
1986—1990 წ. წ.

12. განათლების შინაარსის სრულყოფის მიზნით სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შემუშავება რესპუბლიკის კომპეტენციაში შემავალი საკითხების მიხედვით, სახელმძღვანელოების შესაქმნელად კონკურსების ჩატარება.

განათლების სამინისტრო, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
1986—1990 წ. წ.

13. სასწავლო დისციპლინების მდგომარეობის შესწავლა და ღონისძიებების შემუშავება მისი გაუმჯობესებისათვის, სწავლების შინაარსის პრაქტიკული და პოლიტექნიკური მიმართულებისადმი განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა.

სკოლების სამმართველო,
სახალხო განათლების განყოფილებები
1986—1990 წ. წ.

14. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართვე-

ლოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 12 ივნისის დადგენილების „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების თერთმეტწლიან სწავლებაზე გადასვლისა და ექვსი წლის ასაკის ბავშვთა 1-ლ კლასში მიღების შესახებ“ შესრულების მიმდინარეობის შესწავლა და დამატებითი ღონისძიებების შემუშავება სწავლებისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად. მოსწავლე-ადგილებით, აღმზრდელ-მასწავლებელთა კადრებით, გახანგრძლივებული დღის ჯგუფებით უზრუნველყოფისათვის.

სკოლების სამმართველო, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი, რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტი

1986—1987 წ. წ.

15. სახალხო განათლების ორგანოების, სკოლებისა და საბაზო საწარმოების მიერ მოსწავლეთა შრომითი აღზრდის გაუმჯობესების, სწავლების, პროფესიული ორიენტაციისა და მწარმოებლური შრომის ორგანიზაციისათვის გაწეული ერთობლივი მუშაობის მდგომარეობის შემოწმება.

სკოლების სამმართველო

1986—1987 წ. წ.

16. რესპუბლიკის საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების საქმიანობის შინაარსისა და ორგანიზაციის გაუმჯობესების, სწავლების ხარისხის ამაღლების, კონტინგენტის დაგეგმვის მოწესრიგებისა და სკოლების ქსელის რაციონალიზაციის მიზნით კომპლექსური პროგრამის შემუშავება.

საღამოს (ცვლიანი) და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო, სახალხო განათლების განყოფილებები

1986 წ.

3. Организация ознакомления с опытом работы средней школы № 98 г. Тбилиси слушателей курсов повышения квалификации руководящих кадров.

Центральный институт усовершенствования учителей

Систематически

4. Изучение вопроса о стиле и методах работы директоров общеобразовательных школ по руководству педагогическими коллективами в деле реализации реформы, решений партийных съездов (выборочно).

Управления и отделы Минпроса

1986—1987 г. г.

5. Проведение республиканской методико-практической конференции по проблемам развития и совершенствования ученического самоуправления.

Управление воспитательной работы, НИИ педагогики им. Я. Гогебашвили

1987 год

6. Изучение вопроса о работе педагогических коллективов школ по повышению роли органов самоуправления школьников

в коммунистическом воспитании подрастающего поколения в свете решений XXVII съезда КПСС, XXVII съезда КП Грузии (выборочно).

Управление воспитательной работы
1987 год

7. Изучение опыта работы органов народного образования, педагогических коллективов школ по педагогизации родителей, с последующим обсуждением на коллегии (выборочно).

Управление воспитательной работы, НИИ педагогики им. Я. Гогебашвили
1987 год

8. Подготовка методических рекомендаций по вопросу взаимодействия семьи, школы, общественности.

Управление воспитательной работы, НИИ педагогики им. Я. Гогебашвили
1987 год

9. Проведение зонального семинара-совещания по проблемам организации работы по месту жительства учащихся.

Управление воспитательной работы, НИИ педагогики им. Я. Гогебашвили
1987 год

10. Изучение вопроса о деятельности органов народного образования, педагогических коллективов школ по укреплению трудовой и исполнительской дисциплины в свете требований XXVII съезда КПСС и XXVII съезда КП Грузии (выборочно).

Управления и отделы Минпроса
1986—1987 г. г.

11. Изучение постановки трудового обучения и воспитания учащихся в свете требований реформы общеобразовательной и профессиональной школы (выборочно).

Управление школ, НИИ педагогики им. Я. Гогебашвили
1986—1990 г. г.

12. Проверка состояния преподавания предмета «Основы информатики и вычислительной техники», с последующим обсуждением итогов на коллегии (выборочно).

Управление школ, Главный вычислительный центр
1986 год

ეროვნული

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1986 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება

## 1985—1986 სასწავლო წლისათვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სახელმძღვანელოებითა და სასწავლო ლიტერატურით უზრუნველყოფის შემოწმების შედეგების შესახებ

სახელმძღვანელოების სამმართველოს ინფორმაცია 1985—1986 სასწავლო წლისათვის რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სახელმძღვანელოებით, პროგრამებითა და სხვა სასწავლო-მეთოდიკური ლიტერატურით უზრუნველყოფის შესახებ მიღებულ იქნეს ცნობად.

კოლეგია აღნიშნავს, რომ ახალი სასწავლო წლისათვის რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა უფასოდ მიიღეს 5 მილიონამდე ეგზემპლარი სახელმძღვანელო, რომლის შესაძენად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაღებულ იქნა 1,8 მლნ მანეთი; ბეჭდვის დამთავრების დადგენილი ვადისათვის, 1-ლი ივლისისათვის, სახელმძღვანელოების გამოცემის გეგმა 92,8% შესრულდა, ხოლო წიგნით ვაჭრობის ქსელში სრული ტირაჟების ჩაბარებისა — 95%. გამომცემლობა „განათლების“ ბაზაზე ქართული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის დაისტამბა 78 დასახელების, ხოლო რუსული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის 7 დასახელების, სახელმძღვანელო; სსრ კავშირის განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ლიმიტის ფარგლებში რსფსრ-დან, აზერბაიჯანისა და სომხეთის სსრ-დან მიღებული და დაგზავნილია სახელმძღვანელოები რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ სკოლებში, ინტერნატული ტიპისა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში; დაბეჭდილი და დაგზავნილია 6 დასახელების პროგრამა, ხოლო პირველ-მეორე კლასებისა და სკოლამდელი აღზრდის მასწავლებელთათვის 21 დასახელების მეთოდიკური რეკომენდაცია; შეიქმნა ახალი სახელმძღვანელოები: „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლები“, „მოკლე ეკონომიკური ცნობარი“ და „გარე სამყაროს გაცნობა“.

კოლეგია აღნიშნავს, რომ სახელმძღვანელოების სამმართველომ ბეჭდური პროდუქციის სკოლებამდე დროულად მიწოდების მიზნით გარკვეული ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებები ჩაატარა, რის შედეგადაც რესპუბლიკის ყველა ტიპის სკოლა, ძირითადად, უზრუნველყოფილია სახელმძღვანელოებითა და სხვა სასწავლო ლიტერატურით, მაგრამ ნაკლოვანებანი, რომლებიც თან სდევდა მოსამზადებელ პერიოდს და თავისი უარყოფითი კვალი დაამჩნია 1985—1986 სასწავლო წლისათვის სახელმძღვანელოებითა და სასწავლო ლიტერატურით სკოლების უზრუნველყოფის საქმეს, დამაფიქრებელია; მიუღებლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა ჩაითვალოს აღნიშნული საკითხის სასწავლო წლის შუა პერიოდში განხილვა.

ზერელედ და არასაკმარისი მონდომებით მოეკიდნენ რიგ სკოლებში ნახმარი სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების აღდგენითს სამუშაოებს, რის გამოც მოსწავლეებს, არაიშვიათად, დაფურცლული, დახეული, დასვრილი სახელმძღვანელოები მიეცათ (სამტრედია, ხობი, წალენჯიხა, ლანჩხუთი, ჩოხატაური, ასპინძა, ადიგენი, ახალქალაქი); ცალკეული რაიონის სახალხო განათლების ორგანოები კარგად არ იცნობენ სახელმძღვანელოების ადგილობრივ სარეზერვო ფონდებს, რის გამოც ადგილი ჰქონდა სახელმძღვანელოების დამატებაზე (33 632 ეგზ.) უსაფუძვლო მოთხოვნებს (დუშეთი, წალენჯიხა, აფხაზეთის ასსრ). აღნიშნული საკითხისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგია ის, რომ სახალხო განათლების განყოფილებები სათანადოდ არ აკონტროლებდნენ სახელმძღვანელოების შემოსვლას წიგნით ვაჭრობის ადგილობრივ ორგანიზაციებში, არ ჰქონდათ დამყარებული საქმიანი კონტაქტები ამ უწყების მუშაკებთან, რამაც განაპირობა ადგილებზე გამოუსყიდავი სახელმძღვანელოების გაყიდვა (გარდაბანი, ადიგენი, ცხაკაია); ხშირი იყო სახელმძღვანელოების დამატებაზე გაუმართლებელი მოთხოვნები მოსახლეობის მოსალოდნელი მიგრაციის, ახალი სკოლების, ახალი კლასების გახსნის მოტივით; (ქ. გორი, საგარეჯო, ჩოხატაური, წალენჯიხა, აჭარის ასსრ, ახალქალაქი, ახალციხე). სახელმძღვანელოების გამოცემისა და ფონდირების გრაფიკის, ფონდირების სიკეთეზე მშობლებთან სუსტი განმარტებითი მუშაობის შედეგად იმატა წერილებისა და საჩივრების რაოდენობამ ზემდგომ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში.

არსებითი ნაკლოვანებებით აღინიშნებოდა სასკოლო ბიბლიოთეკების მიერ საკითხავი ლიტერატურის თანმიმდევრული შევსებისა და გამოყენების საქმე — საბავშვო ლიტერატურის გამოცემების 0,5 პროცენტმა, რომელსაც სასკოლო ბიბლიოთეკები ღებულობენ, მინიმალურად ვერ დააკმაყოფილა სკოლის მოთხოვნები, „მსოფლიო საბავშვო ლიტერატურის“ სერიით გამოცემული საკითხავი წიგნები კი, ყოვლად გაუმართლებელი „სიფრთხილის“ გამო სავიტრინო ეგზემპლარებად გვევლინება (ხობი, წალენჯიხა, ჩოხატაური, დუშეთი).

განათლების სამინისტროს სასკოლო ბიბკოლექტორში (დირექტორი ვ. რამიშვილი) მოუწესრიგებელი იყო აღრიცხვიანობა; შედეგი: ერთსა და იმავე რაიონში (მცხეთა, წყალტუბო, ახმეტა, საჩხერე) სასწავლო-პედაგოგიკური ლიტერატურის დაგვიანებით დაგზავნა და სხვ.

სერიოზული ხარვეზებით აღინიშნება ორიგინალური სახელმძღვანელოების სრულყოფა-განახლებისა და უნიფიცირებული სახელმძღვანელოების ქართულ ენაზე თარგმნის საქმე და ხარისხი, დაბალია მთარგმნელთა დონე და კომპეტენტურობა; შედეგი: სახელმძღვანელოები

დაიბეჭდა ერთი და იგივე უხეში შეცდომებით. უკვე წესად [illegible] თარგმნი სახელმძღვანელოების დედნებისა და საილუსტრაციო მასალის დიაპოზიტივების დაგვიანებით მიღება გამომცემლობა „პროსვეშჩენიედან“, რამაც ერთი წლით უკან გადასწია სახელმძღვანელოების დროულად ფონდირება; სახელმძღვანელოები იბეჭდებოდა არასრული ტირაჟებით, ახალი სასწავლო წლისათვის განკუთვნილი სამი დასახელების სახელმძღვანელო დაუბეჭდავი იყო 1985 წლის ნოემბრისათვის.

სახელმძღვანელოების ბეჭდვის გრაფიკის დარღვევა, ძირითადად, გაპირობებული იყო ქაღალდის მიწოდების საქმეში არსებული შეფერხებებით, პოლიგრაფიული საწარმოების საშრიფტო მეურნეობის სიღარიბით. გამომცემლობისა და პოლიგრაფიულ საწარმოთა შეუთანხმებელი, არარიტმული მუშაობით.

არადამაკმაყოფილებელია სახელმძღვანელოების პოლიგრაფიული შესრულების ხარისხი: დაბალია სახელმძღვანელოების მხატვრული გაფორმების დონე: ხშირად არ ხერხდება საილუსტრაციო მასალისა და ტექსტის მთლიანობაში აღქმა, წიგნის ბლოკები შეკერილია ცუდად, რის შედეგადაც, არაიშვიათად, სახელმძღვანელო ფურცელ-ფურცელ იშლება. ფონდირებული სახელმძღვანელოები, ხშირ შემთხვევაში, რბილ გარეკანშია ჩასმული, უფერული და არაერთგვაროვანია ბეჭდვა.

პრობლემად დარჩა სასკოლო სახელმძღვანელოების სკოლისათვის დროულად მიწოდების საქმე. „საქწიგნისა“ და „ცეკავშირის“ სისტემებმა ნოემბრის თვემდე გააჭიანურეს სკოლებამდე წიგნების მიტანა; ასევე, სკოლამდე სამი-ოთხი თვის დაგვიანებით მიაღწია სხვა რესპუბლიკებიდან შემოსულმა სასწავლო-პედაგოგიურმა ლიტერატურამ, აღნიშნული ლიტერატურით დატვირთული კონტეინერები თვეობით გაუხსნელად ეწყო წიგნის ბაზების ტერიტორიაზე.

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. სახელმძღვანელოების სამმართველოს მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათი მიღებულ იქნეს ცნობად.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსმა:

2. 1. განსაკუთრებულ კონტროლზე აიყვანონ რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის საქმე; უზრუნველყონ „მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით უფასოდ სარგებლობაზე გადაყვანის შესახებ“ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1978 წლის 8 აგვისტოს № 522 ბრძანებით და ამ საკითხზე სამინისტროს მიერ შემუშავებული ინსტრუქციით გათვალისწინებულ მოთხოვნათა ადილებზე შესრულების მდგომარეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის შესწავლა და შემოწმების შედეგები მიმდინარე წლის მაისში განიხილონ კოლეგიების, სახალხო განათლების განყოფილებებისა და ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს საბჭოების სხდომებზე; განახორციელონ კონკრეტული, ქმედითი ღონისძიებანი გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და საჭიროების შემთხვევაში საკითხი განსახილველად შეიტანონ სახალხო დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების სხდომებზე; განხორციელებულ ღონისძიებათა შესახებ აცნობონ განათლების სამინისტროს მიმდინარე წლის 1-ლი ივნისისათვის;

2. 2. მკვეთრად გააუმჯობესონ მუშაობა და აამაღლონ პირადი პასუხისმგებლობა სახელმძღვანელოების გამოსაყოფი დაკვეთების სიზუსტეზე, აუცილებლად გაითვალისწინონ ახალი სკოლების, კლასების გახსნა, ამა თუ იმ უცხოურ ენაზე სწავლება აგრეთვე, მოსახლეობის მოსალოდნელი მიგრაცია;

2. 3. მეტი ყურადღება მიაქციონ უფასო სახელმძღვანელოების რეზერვების აღრიცხვიანობის საქმეს: შექმნან სკოლებში მათი შენახვისათვის აუცილებელი პირობები;

2. 4. მკაცრად მოთხოვონ სახალხო განათლების იმ მუშაკებს, რომლებიც დამნაშავენი არიან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სახელმძღვანელოებითა და სხვა სასწავლო ლიტერატურით არადამაკმაყოფილებლად უზრუნველყოფის საქმეში; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმ სკოლებისა და ბიბლიოთეკების მუშაობას რომელთა საქმიანობაშიც სერიოზული ნაკლოვანებანი აღინიშნა.

3. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორებმა და პედაგოგიურმა კოლექტივებმა შედეგიანად იზრუნონ, რათა ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ნახმარი სახელმძღვანელოები მაქსიმალურად იქნეს შეგროვებული და დროულად შეკეთებული.

სასკოლო ბიბლიოთეკებთან შექმნან საამკინძაო წრეები, აქტიურად ჩააბან მათში მოსწავლეები, რისთვისაც უნარიანად გამოიყენონ სასკოლო პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების შესაძლებლობანი.

4. რესპუბლიკურმა სასწავლო-მეთოდურმა კაბინეტმა (ამხ. მ. გოგიტაძე) ძირეულად გარდაქმნას მუშაობა ადგილებზე შედეგიანი მეთოდური დახმარების უზრუნველსაყოფად;

4. 1. ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან ერთად ორი თვის ვადაში დაასრულოს დაწყებული მუშაობა და წარმოადგინოს „საამკინძაო საქმეში“ საწრეო მუშაობის პროგრამა;

4. 2. 1986—1987 სასწავლო წლისათვის უზრუნველყოს „საამკინძაო საქმის“ დამხმარე მეთოდური წიგნის გამოცემა და ადგილებამდე დაყვანა.

5. განათლების სამინისტროს სასკოლო ბიბლკოლექტორმა (დი-რექტორი ვ. რამიშვილი) მკვეთრად გააუმჯობესოს ყოველდღიური ხელმძღვანელობის სტილი და სრულყოს მუშაობის მეთოდები; მკაცრად იმსჯელოს და უყურადღებოდ არ დატოვოს ადგილებიდან შემოსული არც ერთი სიგნალი ამანათების დაგვიანებისა და მათში ნაკლული ეგზემპლარების თაობაზე.

6. სკოლების საქმიანობაზე არასათანადო ხელმძღვანელობისა და კონტროლისათვის რამაც სახელმძღვანელოებითა და სასწავლო ლიტერატურით სკოლების უზრუნველყოფის საქმეში სერიოზული ხარვეზები და ნაკლოვანებანი განაპირობა, დუშეთის (ამხ. ვ. გოგოლაური), ხობის (ამხ. შ. ხარებავა), წალენჯიხის (ამხ. ტ. ჯანჯღავა), მარნეულის (ამხ. ბ. კალაევი), ქ. მარნეულის (ამხ. ა. ალიევი), სამტრედიის ((ამხ. კ. ძნელაძე) და ასპინძის (ამხ. დ. ზედგინიძე) სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებს მიეთითოთ;

მათვე ერთი თვის ვადაში მკაცრად იმსჯელონ ცნობაში მოყვანილი დამნაშავე პირების პასუხისმგებლობის საკითხზე და გატარებულ ღონისძიებათა შესახებ აცნობონ განათლების სამინისტროს მიმდინარე წლის 15 აპრილისათვის.

7. სკოლებისა და სახელმძღვანელოების სამმართველოებმა (ამხ. ამხ. თ. ტატიშვილი, ნ. ღლონტი):

7. 1. სასკოლო რეფორმის ძირითადი მოთხოვნების გათვალისწინებით უზრუნველყონ სასწავლო-მეთოდიკური კომპლექტების შექმნა ყველა საგანში (სახელმძღვანელო-მეთოდური სახელმძღვანელო მასწავლებელთათვის — კლასგარეშე საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის, თვალსაჩინო-დიდაქტიკური მასალა) იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული პროცესი დამთავრდეს 1986—2000 წლებში;

7. 2. შეადგინონ და განათლების სამინისტროს კოლეგიას მიმდინარე წლის მაისის თვეში წარმოუდგინონ სახელმძღვანელოებისა და სასწავლო-მეთოდიკური ლიტერატურის განახლების გეგმა 1986—2000 წლებისათვის; მოსამზადებელი მუშაობა აწარმოონ სამინისტროს აპარატის შესაბამის სამსახურებთან და დაქვემდებარებულ დაწესებულებებთან მჭიდრო კონტაქტში.

7. 3. გადაახალისონ და კვალიფიციური მეცნიერი კადრებით დააკომპლექტონ საგნობრივი მეთოდური საბჭოები, რომლებიც უშუალოდ პასუხს აგებენ სახელმძღვანელოებისა და სასწავლო ლიტერატურის შინაარსობრივ მხარეზე, მეთოდიკურ-სტრუქტურულ აპარატსა და გამოსაცემად რეკომენდებაზე; მოსამზადებელი სამუშაო აწარმოონ აპარატის შესაბამის სამეცნიერო და დაქვემდებარებულ სამსახურებთან მჭიდრო კონტაქტში;

7. 4. პერიოდულად უზრუნველყონ გამოცემული სახელმძღვანელოების რეცენზირება; ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაპყ-

რონ უნიფიცირებული სახელმძღვანელოების მაღალ დონეზე გადმოქართულების საკითხს;

7. 5. მიაღწიონ საამკინძაო წრის დაარსებას განათლების სამინისტროს სისტემაში შემავალ ყველა სკოლაში.

8. ეთხოვოს საქართველოს სსრ გამსახკომს (ამხ. ვ. ბაქრაძე):

8. 1. უზრუნველყოს ყოველწლიური თემატური გეგმით გათვალისწინებული სასწავლო-მეთოდიკური ლიტერატურის ვადაში დაბეჭდვა;

8. 2. მკვეთრად აამაღლოს სახელმძღვანელოების პოლიგრაფიული შესრულების ხარისხი — ბეჭდვა, კინძვა და ა. შ. ამასთან, უზრუნველყოს ფონდირებული სახელმძღვანელოების მაგარ გარეკანში ჩასმა;

8. 3. სახელმძღვანელოების ფონდირების შედეგად გამოთავისუფლებული ქაღალდის რესურსები გამოიყენოს მხოლოდ მეთოდური, სასწავლო და საბავშვო ლიტერატურის გამოცემათა გასადიდებლად;

8. 4. ქმედითი დახმარება აღმოუჩინოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქწიგნს" სახელმძღვანელოების დროულად ტრანსპორტირების საქმეში.

9. ეთხოვოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, თავის დაკვეთებში გაითვალისწინოს სკოლებისა და განათლების სამინისტროს სისტემაში შემავალ სკოლისგარეშე დაწესებულებათა მოთხოვნა ბიბტექნიკაზე.

10. ეს გადაწყვეტილება და ცნობა დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს; შეტანილ იქნეს სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

11. კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობაზე დაევალოს მინისტრის პირველ მოადგილეს (ამხ. ლ. ი. გაგუა).

**კოლეგიის თავმჯდომარე,**
**მინისტრი ნ. შ. ვასაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცნობა

## 1985—1986 სასწავლო წლისათვის რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის მდგომარეობის შესახებ

სახელმძღვანელოების სამმართველომ გასული წლის ოქტომბერში შეამოწმა ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, გეგეჭკორის, დუშეთის, ვანის, ლანჩხუთის, მარნეულის, სამტრედიის, ქარელის, ჩოხატაურის, წალენჯიხისა და ხობის რაიონების, ქალაქების მარნეულის, სოხუმისა და გაგრის სახალხო განათლების განყოფილებათა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მიერ გაწეული მუშაობა 1985—1986 სასწავლო წლისათვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის მიზნით.

სულ შემოწმებული იქნა 76 საშუალო და 12 რვაწლიანი სკოლა. შემოწმების მიზანი იყო სასკოლო სახელმძღვანელოების, მეთოდური და სხვა სასწავლო-პედაგოგიკური ლიტერატურის საბიბლიოთეკო ფონდების შექმნა-განახლების მდგომარეობა ახალი სასწავლო წლისათვის; არსებულ ნაკლოვანებათა შესწავლა-გამოვლენა და მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის ადგილებზე პრაქტიკული დახმარების გაწევა.

1985—1986 სასწავლო წლისათვის გამომცემლობა „განათლებამ" რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო ქართულენოვანი სკოლებისათვის დასტამბა 78 დასახელების სახელმძღვანელო, საერთო ტირაჟით 3 000 950 ეგზემპლარი, ხოლო რუსულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის 7 დასახელების სახელმძღვანელო. ამასთან, ნ. გელაშვილის მეხუთე კლასის „რუსული ენა", ა. ბერიკაშვილის „ბუკვარი" და გ. გვარამიას და სხვ. „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლები" გამომცემლობის მიზეზით დაგვიანებით დაიბეჭდა და ასევე დაგვიანებით დაეგზავნა სკოლებს. დამტკიცებული ლიმიტების ფარგლებში დაიგზავნა სახელმძღვანელოები რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულენოვანი სკოლებისათვის. რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა მიიღეს, აგრეთვე, 6 დასახელების პროგრამა; სასკოლო რეფორმის მოთხოვნათა გათვალისწინებით ახალი სასწავლო წლისათვის განათლების სამინისტრომ პირველი-მეორე კლასების მასწავლებელთათვის და სკოლამდელი აღზრდის სპეციალისტებისათვის დაბეჭდა 21 დასახელების მეთოდიკური რეკომენდაცია.

შემოწმებული რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა, ძირითადად, დროულად მიიღეს სასკოლო სახელმძღვანელოები, პროგრამები და მეთოდური რეკომენდაციები და ასევე დროულად დაურიგდათ ისინი მოსწავლეებს, გამოიყენეს საბიბლიოთეკო ფონდებში

დაცული ნახმარი სახელმძღვანელოებიც, რითაც უზრუნველყვეს მოსწავლეთათვის სახელმძღვანელოების სრული კომპლექტების მიღება.

შემოწმებამ ცხადყო, რომ სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, ძირითადად, დამაკმაყოფილებელ მუშაობას ეწევიან „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით უფასო სარგებლობაზე გადასვლის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 21 თებერვლის დადგენილებისა და მისგან გამომდინარე მოთხოვნების სარეალიზაციოდ, ამ დოკუმენტის პოლიტიკური, სოციალური და აღმზრდელობითი მნიშვნელობის თითოეულ მოსწავლემდე დასაყვანად.

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გაუმჯობესდა მოსწავლეთა სასკოლო სახელმძღვანელოებით დროული უზრუნველყოფის მდგომარეობა, ხოლო სასკოლო ბიბლიოთეკებში ერთგვარად გამოცოცხლდა მუშაობა ყოველწლიური დათვალიერება-კონკურსის მოთხოვნათა შესაბამისად წარმოებული საქმიანობის საფუძველზე, ჯერ კიდევ აღინიშნება სერიოზული ნაკლოვანებები, უზუსტობანი და შეცდომები, რომელთა გამოც არც თუ სასიამოვნოდ გამოიყურება შემოწმებული რაიონების სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები, შესაბამისი მეთოდური სამსახურები და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით დროულად უზრუნველყოფის, სასკოლო საბიბლიოთეკო ფონდების დაცვის, განახლებისა და გამოყენების, საბიბლიოთეკო მუშაობაში მოსწავლე მკითხველთა მასობრივად მოზიდვისა და დასაქმების თვალსაზრისით, სკოლებში საამკინძაო წრეების საქმიანობის აქტიურობის, დაზიანებული სახელმძღვანელოების შეკეთება-განახლების უზრუნველსაყოფად მარტივი ტიპის საამკინძაო წნეხ-დანადგარებით აღჭურვისა და წიგნების შესაკეთებლად აუცილებელი პოლიგრაფიული მასალით მომარაგებისათვის მიღებული ზომების თვალსაზრისით.

შემოწმებამ გამოავლინა სერიოზული ნაკლოვანებანი სახელმძღვანელოების დროული ტრანსპორტირების საქმეში, რამეთუ „საქწიგნი“ და „ცეკავშირი“ ვერ ახერხებენ შეფერხებებისა და გაჭიანურების გარეშე სასკოლო სახელმძღვანელოების რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში ოპერატიულად მიტანას (განსაკუთრებით რესპუბლიკის შორეულ, მთიან რეგიონებში, აჭარისა და აფხაზეთის ასსრ-ში).

აფხაზეთის ასსრ-ში, ისევე როგორც შემოწმებულ სხვა რაიონებსა და ქალაქებში, გარკვეული სიძნელეები შეიქმნა თერთმეტწლიანი სკოლის მეორე კლასის მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით სრულად უზრუნველყოფის საქმეშიც, ვინაიდან საქართველოს სსრ განათლების

სამინისტროს 1985 წლის 26 სექტემბრის № რ-12-314/17 ცირკულარის მიღებამდე, ადგილებზე ვერ მოახერხეს დამოუკიდებლად მოსამზადებელგავლილი პირველი კლასისათვის განკუთვნილი ნახმარი სახელმძღვანელობით შეევსოთ დეფიციტები, რომელიც გამოწვეული იყო წინა სასწავლო წლების განმავლობაში რიგ სკოლებში მოსამზადებელი კლასებისა და შესაბამისი სახელმძღვანელოების მარაგის უქონლობით.

აფხაზეთის ასსრ ზოგიერთ სკოლაში ჯერ კიდევ სათანადო სიმკაცრითა და პასუხისმგებლობით არ ხდება პედსაბჭოს სხდომებზე სახელმძღვანელოების მოვლა-პატრონობის, განახლებისა და დაცვის საკითხების განხილვა, დადგენილი ფორმებით სახელმძღვანელოების აღრიცხვა. სკოლების დირექციები, პედკოლექტივები, პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციები არ ატარებენ საკმარისს მუშაობას მოსწავლეთა მიერ სახელმძღვანელო წიგნების უკეთ შენახვისა და გამოყენების უზრუნველსაყოფად. ხსენებული ნაკლოვანებები ეხებათ სოხუმის მე-2 (დირექტორი კ. კაჭარავა, ბიბლიოთეკარები ა. კონდახჩიანი და ლ. გულუა); გაგრის ზონის სოფელ კოლხიდის (დირექტორი ა. არახამია, ბიბლიოთეკარი მ. გოგოლიძე); გაგრის 1-ლი (დირექტორი მ. არახამია, ბიბლიოთეკარი ქ. კიკაბიძე); სოხუმის მე-5 (დირექტორი რ. ჭაჭია ბიბლიოთეკარი ნ. რუხაია), მე-7 (დირექტორი თ. წარია, ბიბლიოთეკარი ნ. ოქროპირიძე), მე-12 (დირექტორი ვ. ქეცბაია, ბიბლიოთეკარი ც. დემურია), მე-16 (დირექტორი ზ. ჩაჩიბაია, ბიბლიოთეკარი ჟ. შენგელია), გაგრის მე-4 (დირექტორი ირ. კაცია, ბიბლიოთეკარი ლ. ბეხი), მე-5 (დირექტორი ხ. ჩამაგუა, ბიბლიოთეკარი ბ. გუმბა) და სხვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს. ხშირია ბიბლიოთეკართა ცვლა ქ. სოხუმის მაგალითზე, რის გამოც ძნელდება სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების განახლება-შესავსებად სკოლების წინაშე მდგარი სერიოზული ამოცანების გადაწყვეტა. სოხუმის მე-2, მე-9, მე-10, მე-11 სკოლების დირექციები არ მიმართავენ ქმედით ზომებს, რათა დროულად აღიკვეთოს ამა თუ იმ სახელმძღვანელოს დანაკლისის შემთხვევები. აღნიშნული სკოლების პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციები ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფენ შინასასკოლო შეჯიბრებების სრულყოფილ ორგანიზაციას სახელმძღვანელოების უკეთ მოვლა-პატრონობისათვის, ნაკლებად ერკვევიან ამგვარ ოპერაციათა მოწყობის არსსა და მნიშვნელობაში.

პედსაბჭოს სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებები და დადგენილებები რიგ შემთხვევაში არ სრულდება. ასე მაგალითად, სოხუმის მე-17 საშუალო სკოლის პედსაბჭოს სხდომაზე 1984 წლის 18 ოქტომბერს მიიღეს დადგენილება დაზიანებული წიგნების შემკეთებელი წრის შექმნის თაობაზე, მაგრამ დღემდე ხსენებული საკითხი დადებითად არ გადაწყვეტილა. ჯერ კიდევ ფორმალურ ხასიათს ატარებს აფხაზეთის ასსრ-ში (გაგრის ზონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მაგალით-

ზე) საამკინძაო წრეების საქმიანობა. სკოლების უმრავლესობას არა აქვს მარტივი ტიპის წნეხები, საჭირო მასალა-დოლბანდი, წებო, მუყაო, მაკრატლები და სხვ., რის გამოც სრულად ვერ იყენებენ სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების განახლების ამ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან რეზერვს (გამგე ბ. ჩაკაბერია, სახელმძღვანელოების მეთოდისტი ა. ჩარკვიანი). აფხაზეთის ასსრ-ს ზოგიერთ სკოლაში შემოწმებისას შემჩნეული ერთგვარი ნაკლებობა სახელმძღვანელოებისა იმ შემთხვევებითაცაა გაპირობებული, რომ ზაფხულის პერიოდში აფხაზეთის შავიზღვისპირა ზოლის კურორტებზე დასასვენებლად ჩამოსული პირები, იყენებენ რა ამ რაიონების ხელმძღვანელ მუშაკებთან თავიანთ მეგობრულ დამოკიდებულებას, თხოულობენ და, სამწუხაროდ, ღებულობენ კიდეც აფხაზეთის ზოგადსაგანმანათლებლო რუსულენოვანი სკოლებისათვის კუთვნილ სახელმძღვანელოთა თუმც მცირე, მაგრამ ადგილობრივი მასშტაბებით ფრიად მნიშვნელოვან ნაწილს, რაც, თავის მხრივ, სასკოლო სახელმძღვანელოების მწვავე დეფიციტს ქმნის. შემოწმებისას მკაცრად იქნენ გაფრთხილებული გაგრის ზონის სახალხო განათლების განყოფილების ხელმძღვანელობა და განსაკუთრებით სახელმძღვანელოების მეთოდისტი ა. ჩარკვიანი, რათა მომავალში მთლიანად გამოირიცხოს ურთიერთმაამებლობის ეს მავნე და დასაგმობი პრაქტიკა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ტრადიციულ აფხაზურ სტუმარ-მასპიძლობასთან.

ქ. მარნეულისა (გამგე ა. ალიევი, სახელმძღვანელოების მეთოდისტი ი. ციხელაშვილი) და მარნეულის რაიონის (გამგე ბ. კალაევი, მეთოდისტი დ. ზედგინიძე) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, ძირითადად, უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით. სკოლების დირექციები, პედკოლექტივები და ბიბლიოთეკარები გარკვეულ მუშაობას ატარებენ სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების შექმნის, დაცვისა და განახლების ხაზით, მაგრამ შემოწმებამ დაგვანახა რიგი ნაკლოვანებები. სერიოზული ხარვეზებია, აგრეთვე, ასპინძისა (გამგე დ. ზედგინიძე, მეთოდისტი დ. გვარამაძე) და ადიგენის (გამგე გ. ზაზაშვილი, მეთოდისტი მ. გიორგაძე) რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებშიც.

აღნიშნულმა რაიონებმა ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყვეს ინსტრუქციის მოთხოვნათა ყველა მუხლის შესრულება, სახელდობრ: სკოლებში არა აქვთ ჩამოყალიბებული საამკინძაო წრეები, არ ტარდება საბიბლიოთეკო გაკვეთილები, არ არის ბიბლიოთეკა მჭიდრო კავშირში სკოლის ადმინისტრაციასთან, კლასის ხელმძღვანელებთან, საგნის მასწავლებლებთან, პიონერულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან; წლების მანძილზე სახელმძღვანელოების ბოლო გვერდი, რომელსაც „დანართს" ვუწოდებთ, შეუვსებელია და შეუფასებელია მასწავლებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის მიერ; სახელმძღვანელოების ერთი ნაწილი (უფრო დაწყებითი კლასები) ფიზიკურად დაზიანებული, ფურცელ-ფურცელ დაშლილი და შეუკეთებლია. არ ტარდება საბავშვო წიგნის კვირეულები, მკითხველთა კონფერენციები, თემატური შეკრებები, დილა-საღამოები, მოსწავლეები არ არიან გაერთიანებული სკოლის ბიბლიოთეკაში. თუ არიან, საბიბლიოთეკო ფორმულარების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ 2-3 წლის განმავლობაში თითო გატანილი წიგნით კმაყოფილდებიან. ასეთი სკოლებია: ქ. მარნეულის ქართული (დირექტორი ნ. შეყლაშვილი, ბიბლიოთეკარი ზ. კაციტაძე), მარნეულის რაიონის სოფელ შულავრის (დირექტორი ბ. ახმედოვი, ბიბლიოთეკარი ა. ურუმოვა), სოფელ წერეთლის (დირექტორი ნ. მოდებაძე, ბიბლიოთეკარი ე. თითბერიძე), ასპინძის რაიონის სოფელ აწყვეტის (დირექტორი ზ. ივანიძე, ბიბლიოთეკარი რ. შაყულაშვილი), დაბა ასპინძის (დირექტორი რ. ნარიმანიძე, ბიბლიოთეკარი თ. დიასამიძე), ადიგენის რაიონის სოფელ უდეს მე-2 (დირექტორი მ. ჩხიტუნიძე), ბიბლიოთეკარი ც. ბალახაშვილი) ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლები. შემოწმებული რაიონების სკოლებიდან არც ერთს არ აქვს საცავი (გარდა ადიგენის საშუალო ო მარნეულის რიონის სოფელ ორჯონიკიძის საშუალო სკოლებისა).

შემოწმებამ დაადგინა, რომ სამინისტროს მიერ ლიმიტით გამოყოფილი სახელმძღვანელოები რაიონებში მიღებული და მეთოდისტების მიერ სწორადაა განაწილებული, მაგრამ ქ. მარნეულში რუსულენოვანი სკოლების შემოწმების დღისათვის არ ჰქონდათ მიღებული „ბუკვარი“ (485 ეგზემპლარი). მეათე კლასის „ საზოგადოებათმცოდნეობა“, აზერბაიჯანულენოვან სკოლებს პირველი კლასის არც ერთი დასახელების სახელმძღვანელო, მეშვიდე კლასის ისტორია, მეათე კლასის „ახალი ისტორია“; მარნეულის რაიონის სოფლის შულავრისა და ასპინძის რაიონის სომხურ საშუალო სკოლებს 1979 წლის შემდეგ არ მიუღიათ IV-X კლასის ჩათვლით ქართული ენის სახელმძღვანელოები.

სერიოზული დარღვევები გამოვლინდა დუშეთის რაიონში. დუშეთის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების მეთოდკაბინეტის ბიბლიოთეკას არ აქვს ცალკე ოთახი. იგი მოთავსებულია თვით განათლების განყოფილების აპარატის მუშაკთა ერთ-ერთ სამუშაო კაბინეტში (!).

მეთოდისტს აქვს ცალკე ოთახი (25 მ$^2$), სადაც შენახულია „სარეზერვო“, როგორც მეთოდისტმა ნ. არაბულმა თქვა, სახელმძღვანელოები. აქ ერთადაა თავმოყრილი სხვადასხვა სასწავლო წლისათვის გამოცემული სახელმძღვანელოები, აგრეთვე ისეთი ძვირადღირებული გამოცემები, როგორიცაა მსოფლიო საბავშვო ლიტერატურა, ენციკლოპედიები, ქართული პროზა, ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებთა გამოცემე-

ბი და სხვ. ყოველივე ზემოხსენებული დალაგებულია ქაოტურად, ყოველგვარი კლასიფიკაციის გარეშე. თავად მეთოდისტსაც კი უჭირს გარკვევა რა აქვს და რა არა აქვს, სწორედ ამიტომაც ჰქონდა ადგილი ამ რაიონიდან ყოვლად გაუმართლებელ მოთხოვნებს სხვადასხვა სახელმძღვანელოს დამატების შესახებ, რომელთა უმრავლესობა ადგილზე ჰქონდათ და მათი არსებობის შესახებ მეთოდისტს წარმოდგენა არ ჰქონდა. შემოწმების დღემდე არ იყო ჩატარებული აღწერა. არ იყო გადარჩეული მაკულატურის სახით ჩამოსაწერი ლიტერატურა.

იგრძნობა შესამჩნევი ინდიფერენტიზმი როგორც მეთოდისტის, ისე დუშეთის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგის მხრიდან, რომლებსაც სრულებით არ აინტერესებთ როგორც სახელმძღვანელოებით მოსწავლეთა უზრუნველყოფის მდგომარეობა ისე 1983 წლის 22 დეკემბერს სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე „სასკოლო სახელმძღვანელოების მოვლა-პატრონობის შესახებ" მიღებული დადგენილების გადამოწმების საკითხი.

ნ. არაბულს სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდის მეთოდისტობასთან ერთად შეთავსებული აქვს კვებაზე კურირება და, ვფიქრობთ უფრო დაუინტერესებია კიდეც კვების საკითხებს. ყველაფერ ამასთან ერთად სკოლაში აქვს 7 საათიანი დატვირთვა.

ვანისა და ქარელის რაიონებში შედარებით უკეთესი მდგომარეობაა, თუმცა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ბიბლიოთეკების მატერიალური ბაზა ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს გაზრდილ სადღეისო მოთხოვნებს. ამითაა გაპირობებული ის, რომ უმეტესი სკოლის ბიბლიოთეკებს არა აქვს ცალკე გამოყოფილი საცავები სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდებისათვის, რის გამოც ერთად აქვთ შენახული როგორც სასკოლო სახელმძღვანელოები, ასევე მხატვრული და მეთოდური ლიტერატურა. მწვავე ნაკლებობაა, აგრეთვე, საბიბლიოთეკო ინვენტარის მხრივაც. არ ჰყოფნით სტელაჟები, ხოლო ფართის უკმარისობის გამო განიცდიან საშინელ სივიწროვეს. სკოლებში არა აქვთ მარტივი სახის საამკინძაო წნეხები, რის გამოც ნახმარი სახელმძღვანელოების შეკეთება ხდება შემთხვევიდან შემთხვევამდე და ამ საქმიანობას არა აქვს მიცემული სისტემატური ხასიათი. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ხელმძღვანელები ნაკლებად ინტერესდებიან საბიბლიოთეკო საქმიანობის პრობლემატიკით, ნაკლებად ზრუნავენ საბიბლიოთეკო საქმიანობისა და საამკინძაო წრეების მუშაობის აქტივიზაციის როგორც ორგანიზაციული, ასევე მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის საჭირო საკითხების ოპერატიულად მოგვარებაზე. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში დირექტორის ბრძანებით შექმნილი აქვთ სახელმძღვანელოების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი „სასკოლო კომისიები", მაგრამ მათი დიდი უმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რავლესობა მხოლოდ ქაღალდზე არსებობს და იმდენად ფორმალურ ხასიათს ატარებს, რომ ადგილებზე არ აღმოაჩნდათ ხსენებული კომისიების მიერ ჩატარებული რეიდების მასალები.

შემოწმებით დადგინდა, რომ გეგეჭკორის, წალენჯიხისა და ხობის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს გარკვეული მუშაობა აქვთ გაწეული ახალი 1985—1986 სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

გეგეჭკორის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებას და მის სახელმძღვანელოების მეთოდურ სამსახურს აქვს კარგი მატერიალური ბაზა, რომელიც 3 ოთახისაგან შედგება. საცავი — ერთი მოზრდილი დარბაზი — სახელმძღვანელოებისათვის, მეორე ოთახი, საიდანაც ხდება სახელმძღვანელოების გაცემა, ხოლო მესამე ოთახი დათმობილი აქვს მეთოდურ ლიტერატურას.

მეთოდისტს მთლიანად გამოაქვს „ცეკავშირის“ მაღაზიიდან კუთვნილი სახელმძღვანელოები და ფაქტურებით აძლევს სკოლებს, რათა სკოლებმა სახელმძღვანელოები დროზე მიიღონ.

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმძღვანელოების მეთოდისტს ლ. ჯვებენავას 1978 წლიდან დაცული აქვს ყველა ჟურნალი. ერთ ჟურნალში ჩაკრული აქვს სამინისტროდან მიღებული ყველა ლიმიტი, გვერდით მიწერილი აქვს სკოლებზე პროცენტულად განაწილებული სახელმძღვანელოები. მეორე ჟურნალში ჩაკრული აქვს სამინისტროდან მიღებული ყველა ცირკულარული წერილი. შედგენილი აქვს ყველა ბიბლიოთეკარზე კარტოთეკა და საკონსულტაციო ჟურნალები. აქვს კითხვარები სახელმძღვანელოების გაცემისა და მოსწავლეთა სასწავლო წიგნებით უზრუნველყოფის მდგომარეობის შესამოწმებლად. რაიონის ყველა მეორე კლასი დაკმაყოფილებულია სახელმძღვანელოებით. რეფორმის მეორე კლასებისათვის კონტინგენტის 30%-ით მიღებული სახელმძღვანელოები განაწილებულია მხოლოდ იმ სკოლებზე, სადაც მოსამზადებელი კლასები არ იყო.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გეგეჭკორის რაიონის მე-2 საშუალო და სოფელ ლეცავეს საშუალო სკოლებში ბიბლიოთეკებს თითო პატარა ოთახი უკავიათ და, ცხადია, ნორმალური მუშაობის არავითარი პირობები არა აქვთ შექმნილი; რაიონების სკოლებში არ ფუნქციონირებენ საამკინძაო წრეები. არ ტარდება წამახალისებელი ღონისძიებები, შეჯიბრება-კონკურსები კლასებსა და სკოლებს შორის.

წალენჯიხის რაიონში დაბალ დონეზეა სახელმძღვანელოების ფიზიკური მდგომარეობა (გამგე ტ. ჯანჯღავა, მეთოდისტი დ. მახარია) და წიგნების მოვლა-პატრონობის საქმე — სახელმძღვანელოები გადაუკრავია, რაიონის მხოლოდ ერთ, მე-2 სკოლაში ფუნქციონირებს საამკინძაო წრე; არ ტარდება არავითარი წამახალისებელი ღონისძიებები სახელმძღვანელოების მოვლა-დაცვასთან დაკავშირებით; არც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ შემოწმებულ სკოლაში არ არის დირექტორის ბრძანებით გამოყოფილი კომისია სახელმძღვანელოების ფიზიკური მდგომარეობის დათვალიერების თაობაზე, არ ტარდება შეჯიბრება-კონკურსები კლასებსა და სკოლებს შორის. იმ სკოლებში, სადაც წინა წლებში მოსამზადებელი კლასები არ ჰყავდათ, თითქმის არც ერთ მოსწავლეს არ ჰქონდა მე-2 კლასის სახელმძღვანელო. არ მოხდა მათი გადანაწილება ადგილობრივ სკოლებს შორის (რაც მხოლოდ ჩვენი ჩარევის შემდეგ მოხდა), ამიტომ მთელი რიგი მოსწავლეები ახალ სასწავლო წელს სახელმძღვანელოების გარეშე შეხვდნენ, და ისიც სარეფორმო მეორე კლასში (!).

სკოლების შემოწმების შემდეგ ჩატარდა ბიბლიოთეკარების თათბირი, რომელზეც ბევრი გაუგებარი საკითხი ადგილზევე ოპერატიულად იქნა გადაჭრილი.

შემოწმებით დადგინდა, რომ ხობის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებას (გამგე შ. ხარებავა, მეთოდისტი ლ. კიტია) ჩატარებული აქვს მთელი რიგი ღონისძიებები და მეთოდური მუშაობა უფასო სახელმძღვანელოებით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უზრუნველყოფისა და მოვლა-პატრონობის მხრივ, რის შედეგადაც რაიონის სკოლები, ძირითადად, უზრუნველყოფილია სახელმძღვანელოებით, მაგრამ ზოგიერთ სკოლაში ადგილი აქვს აღნიშნული ღონისძიებების მხოლოდ გეგმაში ფიქსირებასა, და სინამდვილეში შეუსრულებლობას (სოფელ ნოჯიხევის საშუალო სკოლა — ბიბლიოთეკარი მ. ჭანტურია, სოფელ ჭალადიდის საშუალო სკოლა — ბიბლიოთეკარი ნ. კაცაძე).

მიუხედავად მეთოდისტის შინაარსიანი მუშაობისა, დოკუმენტაციის გადასინჯვამ, მასთან საუბარმა და, რაც მთავარია, სკოლების შემოწმებამ გამოავლინა, რომ ჯერ კიდევ დიდი მუშაობაა ჩასატარებელი სასკოლო ბიბლიოთეკების რესპუბლიკური დათვალიერება-კონკურსების, შეჯიბრებებისა და საერთოდ, სხვა სახის ღონისძიებების უკეთ ორგანიზაციის უზრუნველსაყოფად. სოფლის სკოლებში არ არსებობს საამკინძაო წრეები (არა აქვთ მარტივი წნეხები ან ანალოგიური რამ), არ არის სათანადოდ დაცული სასკოლო საბიბლიოთეკო ფონდებისათვის განკუთვნილი საცავები, რის შედეგადაც ბევრ სკოლაში სახელმძღვანელოები მოუვლელი და ფურცელ-ფურცელ დაშლილია. შეუკეთებელი და სამაკულატურო წიგნები აქვს მიცემული ბავშვებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბიბლიოთეკო ფონდების მეთოდისტს ლ. კიტიას შეთავსებული აქვს რაიონის სკოლებში დაწყებითი კლასების ინსპექტირების საკითხი, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ორივე ფუნქციის ხარისხიანად შესრულებაზე.

შემოწმებულ სკოლებში ნაკლები ყურადღება ექცევა საბიბლიოთეკო კითხვაში მოსწავლეთა ჩაბმის საკითხებს, რაც მკითხველთა

ფორმულარების შემოწმებასა და მათთან გასაუბრებაში გაირკვა.
სოფელ ნოჯიხევის საშუალო სკოლაში (დირექტორი ა. გოგია, ბიბლიოთეკარი მ. ჭანტურია) დღემდე ვერ შეუგნიათ საბიბლიოთეკო ფონდების მოვლა-პატრონობისა და მათი გაუმჯობესებისათვის აუცილებელი და საქმისადმი სერიოზული მიდგომა, რის გამოც 271 მოსწავლისა და 28 მასწავლებლის სათანადო დონეზე მომსახურება ერთობ გაძნელებულია. ძალიან ცუდ მდგომარეობაში აქვთ სახელმძღვანელოები.
ბიბლიოთეკარის დოკუმენტაცია წესრიგში არ არის, საბიბლიოთეკო ფონდებში შეტანილია შეუკეთებელი, დაფურცლული სახელმძღვანელოები. მოსწავლეთათვის აუცილებელი გამოწერილი ლიტერატურა: „მსოფლიო ლიტერატურა ბავშვებისათვის", „ქართული პროზა"; „სათავგადასავლო ბიბლიოთეკა", „სასკოლო ბიბლიოთეკის სერია", „ქართული ენციკლოპედია" მოთავსებულია დახურულ კარადაში ყოველგვარი ბრუნვის გარეშე და სავიტრინო წიგნებადაა გადაქცეული.
რამდენიმე კლასში გამოყოფილია კუთხე „წიგნის მკურნალთა წრე", სადაც დევს შესაკეთებლად გათვალისწინებული ზოგიერთი საჭირო მასალა. ეტყობა რომ აღნიშნული კუთხე გამოყოფილია მხოლოდ დასანახავად და არა პრაქტიკული საქმიანობისათვის.
ახალქალაქის რაიონში (გამგე ა. გაბრიელიანი, მეთოდისტი ვ. გინოიანი) სულ 67 სკოლაა. აქედან 58 სომხური, 1 რუსული, 8 ქართული (3 საშუალო, 5 რვაწლიანი).
25 რვაწლიან სკოლაში ბიბლიოთეკარები მუშაობენ საზოგადოებრივ საწყისებზე, 26 საშუალო სკოლაში — 0,5 განაკვეთზე, 16 საშუალო სკოლაში — მთლიან განაკვეთზე.
სახალხო განათლების განყოფილების გამგისა და საბიბლიოთეკო მეთოდისტის დოკუმენტაციის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ მათ მიერ გაწეული მუშაობა აღნიშნულ საკითხში დამაკმაყოფილებელია.
საბიბლიოთეკო ფონდების მეთოდისტს ამხ. ვ. გინოიანს ჩატარებული აქვს მთელი რიგი ღონისძიებები და მეთოდური მუშაობა.
მიუხედავად ამისა, დოკუმენტაციის გადასინჯვამ, მეთოდისტთან საუბარმა და, რაც მთავარია, სკოლების შემოწმებამ გამოავლინა, რომ ჯერ კიდევ დიდი მუშაობაა ჩასატარებელი სასკოლო ბიბლიოთეკების რესპუბლიკური დათვალიერება-კონკურსის, შეჯიბრებისა და საერთოდ, სხვა სახის ღონისძიებების უკეთ ორგანიზაციის უზრუნველსაყოფად. საჭიროა სანიმუშოდ მოვლილი სახელმძღვანელოების გამოფენის, ყველა საგნის მასწავლებელთათვის საჭირო მეთოდური ლიტერატურის გამოყოფისა და თვალსაჩინო ადგილზე განლაგების, სარეკომენდაციო სიების გამოფენის ორგანიზაცია, ამასთანავე, „წიგნის

მოყვარულთა“, „წიგნის მკურნალთა“, „საბიბლიოთეკო ფონდის დაცვის“ წრეების ჩამოყალიბება და მრავალი სხვ. სოფლის არც ერთ სკოლაში არ არსებობს საამკინძაო წრე (არა აქვთ მარტივი წნეხები) და, რაც მთავარია, საბიბლიოთეკო ფონდებისათვის განკუთვნილი საცავები.

მართალია, რაიონის შემოწმებულ სკოლებში სახელმძღვანელოებით (100%-ით) უზრუნველყოფილია ყველა მოსწავლე (I-X კლ.), საშიშროებას ქმნის სასკოლო ბიბლიოთეკების, თუ შეიძლება ითქვას, უქონლობა და არსებულის ავარიული მდგომარეობა.

იქ, სადაც ბიბლიოთეკარები საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობენ, იგრძნობა საქმისადმი უგულისყურო იძულებითი და უხალისო დამოკიდებულება. აქედან გამომდინარე, ნაკლებად იცნობენ განათლების სამინისტროს მიერ დაშვებულ ბრძანებებს, ინსტრუქციებს, დებულებებს, მეთოდურ რეკომენდაციებსა და დათვალიერება-კონკურსის მასალებს. ბიბლიოთეკარები შეხვედრისთანავე საუბარს იწყებენ ასე „მე უშტატოდ ვმუშაობ და თუ გამათავისუფლებენ უფრო კარგი იქნებაო“.

ამასთანავე, როგორც შემოწმებისას გაირკვა, განათლების განყოფილებაში და მეთოდკაბინეტში თათბირები, სემინარები, მეთოდური გაერთიანებების სხდომები და ა. შ. ტარდება იშვიათად და ისიც მხოლოდ რუსულ და უფრო ხშირად სომხურ ენებზე, რაც ქართულენოვანი სკოლის მუშაკებს ხელს უშლით ახალი, მათთვის საინტერესო და აუცილებელი საკითხების გარკვევასა და გაგებაში (აღნიშნულ საკითხზე მიეთითა ამხ. ვ. გინოიანს. იგი დაგვპირდა რომ შემდგომში ყველა სახის ღონისძიებას ჩაატარებს განათლების განყოფილების ქართული ენისა და ლიტერატურის ინსპექტორთან (ამხ. შ. ოქრუაძე) ერთად.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მეთოდისტს ამხ. ვ. გინოიანს, მიუხედავად ასეთი სერიოზული ფუნქციისა, პარალელურად შეთავსებული აქვს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობის სწავლების საკითხი. ვფიქრობთ, ამ მეორე დატვირთვასაც ასეთივე „წარმატებით“ ართმევს თავს.

სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა ინტერესით კითხულობს სასკოლო ბიბლიოთეკებიდან გამოტანილ ლიტერატურას. თითქმის ყველა სკოლაში გვთხოვეს, რაც შეიძლება მეტი რაოდენობით მხატვრული ლიტერატურა გავუგზავნოთ, განსაკუთრებით ქართულ ენაზე.

სკოლებში დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ჯამობრივი აღრიცხვის საინვენტარო წიგნის, სასკოლო საბიბლიოთეკო ფონდებისათვის განკუთვნილი ჯამობრივი აღრიცხვის ჟურნალის, სასკოლო სახელმძღვანელოთა საბიბლიოთეკო ფონდების საააღრიცხვო ბარათების

სარეგისტრაციო ჟურნალისა და საკატალოგო ბარათების შეუსრულებელი წარმოება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამტრედიის რაიონის უმრავლეს სკოლაში დამაკმაყოფილებელია სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების შექმნა-განახლების ხაზით ჩატარებული მუშაობა (გამგე კ. ძნელაძე, მეთოდისტი დ. ხუჭუა), მაგრამ არის სკოლები, სადაც ეს სამუშაო ნულამდეა დაყვანილი.

სამტრედიის რაიონის სოფელ იანეთის საშუალო სკოლის ბიბლიოთეკაში (დირექტორი გ. კოხრეიძე, ბიბლიოთეკარი ი. კორშია) ისეთი ქაოსი იყო, რომ ბიბლიოთეკარმა დოკუმენტაციასაც კი ვერ მიაგნოსად ჰქონდა; ვერ გვითხრა რამდენი სახელმძღვანელოა ფონდში, ინვენტარიზაცია 1981 წლის შემდეგ არ გაუკეთებია, სახელმძღვანელოებს საერთოდ არ ატარებს სააღრიცხვო ჟურნალში, მაგრამ ხელფასს დანამატის სახით დიდი ხანია ღებულობს.

რაიონის თითქმის არც ერთი სკოლის ბიბლიოთეკაში არაა მოწესრიგებული მკითხველთა ფორმულარების ბარათების საქმე. გასული წლის გადავყარეთო — ასე გვიპასუხეს, ხოლო წლევანდელი ჯერ არ გაგვიკეთებიაო (ოქტომბრის შუა რიცხვები იყო). ერთ სკოლაში ვნახეთ მეოთხეკლასელის ფორმულარი, რომელსაც გამოტანილი ჰქონდა წიგნი „ბიძია თომას ქოხი“, ეხლა ეს მოსწავლე მეცხრე კლასშია და ვერ გაიგებ ეხლა კითხულობს აღნიშნულ ნაწარმოებს თუ მე-4 კლასში წაიკითხა. ბიბლიოთეკაში თვალის ასახვევად დევს საწნეხი დაზგა, რომელსაც მოსწავლის ხელი არ შეხებია.

მოუგვარებელია რაიონში სკოლიდან სკოლაში გადანაწილებისა და ადგილზე არსებული რეზერვის გამოყენების საქმე. შემოწმებული სკოლებიდან მე-9 კლასის 22 მოსწავლეს აკლდა რუსული სახელმძღვანელო, ხოლო აღნიშნული წიგნები უქმად ეწყო რეზერვების საცავში.

არის შემთხვევები, როდესაც რაიონის განათლების ადგილობრივი ორგანოების უგულისყურობისა და დაკავებული საქმისადმი ზერელე დამოკიდებულების გამო განაწილებული სახელმძღვანელო ვერ ხვდება გასანაწილებელ რაიონში და ამის შესახებ განათლების სამინისტრო მოგვიანებით, სხვა წყაროებით იგებს.

ასე მაგალითად, 1983—1984 სასწავლო წლისათვის აბაშის რაიონს 540 მოსწავლეზე გაუნაწილდა მუსიკის სახელმძღვანელო, 1-ლი კლასის 613 ეგზემპლარი, კუთვნილი 120 პროცენტი. რაიონიდან არავითარი სიგნალი არ შემოსულა სახელმძღვანელოს მიუღებლობის თაობაზე, თუმცა 1985 წლის იანვარში რაიონში სამინისტროდან აღნიშნული საგნის ინსპექტორის ჩასვლის შემდეგ რაიონის დაწყებითი სწავლების მეთოდისტმა მუსიკის სწავლებაში არსებული ამ საგანში სახელმძღვანელოს უქონლობით ახსნა. ცხადია, წლინახევრის შემდეგ რეზერვი ამოწურული იყო და რაიონს დახმარება ველარ აღმოვუჩი-

ნეთ. სამაგიეროდ, 1985—1986 სასწავლო წლისათვის, როცა დასახელებული სახელმძღვანელოს 40 პროცენტიანი ტირაჟი დაიბეჭდა, რაიონს კუთვნილი 115 ეგზემპლარის ნაცვლად, დანაკლისის ასანაზღაურებლად დამატებითი 355 ეგზემპლარი (ე. ი. სულ 470 ეგზემპლარი) გაეგზავნა.

1986 წლის იანვარში ჩასულ განათლების სამინისტროს წარმომადგენელს იმავე მეთოდისტმა, ძველის მახსოვრობით კვლავ უპასუხა, რომ რაიონში მუსიკის არც ერთი სახელმძღვანელო არ მიუღიათ. უგულისყურობამ, უყურადღებობამ და საქმისადმი ზერელე დამოკიდებულებამ 1983 წელს დაგვაკარგვინა მუსიკის სახელმძღვანელოს 613 ეგზემპლარი და 1983—1986 წლებში საგნის სწავლებაც ჩაშალა.

ადგილებზე სახელმძღაველოების საბიბლიოთეკო ფონდების შენახვისა და მოვლა-პატრონობის საკითხები მოითხოვს ძირეულ გადახედვას და ორგანიზაციული ზომების მიღებას.

**სახელმძღვანელოების სამმართველო**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი

გადაწყვეტილება — ხელმძღვანელი კადრების მოძრაობისა და რეზერვთან მუშაობის მდგომარეობის შესახებ . . . . . . 3

გადაწყვეტილება — საჩხერის რაიონის სკოლამდელ დაწესებულებათა აღსაზრდელებში შრომის ჩვევების დანერგვის მდგომარეობისა და გაუმჯობესების შესახებ . . . . . . . . . . . . . 7

Постановление — О проведении республиканской Недели детской и юношеской книги . . . . . . . . . . . . . 10

Постановление — О проведении в республике «Всесоюзной недели музыки для детей и юношества» . . . . . . . . 12

გადაწყვეტილება — ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა გამოცდების, გადაყვანისა და გამოშვების ინსტრუქციაში ცვლილებების შეტანის შესახებ . . . . . . . . . . . . . 18

გადაწყვეტილება — „გორკის ოლქში ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის განხორციელებისათვის მუშაობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შუქზე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა განსახორციელებლად აფხაზეთის ასსრ-ში ჩატარებული მუშაობის თაობაზე“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1986 წლის 15 იანვრის დადგენილების სარეალიზაციო ღონისძიებათა შესახებ 25

Решение — О плане мероприятий по реализации постановления бюро ЦК КП Грузии от 15 января 1986 года «О работе, проводимой в Абхазской АССР по осуществлению реформы общеобразовательной школы в свете постановления ЦК КПСС «О партийном руководстве работой по осуществлению реформы общеобразовательной и профессиональной школы в Горьковской области» . . . . . . 32

გადაწყვეტილება — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საღამოს (ცვლიან) და დაუსწრებელ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა მიღებისა და ამორიცხვის წესების შესახებ . . . . . 39

Решение — О правилах приема и отчисления учащихся вечерних (сменных) и заочных средних общеобразовательных школ Грузинской ССР 43

გადაწყვეტილება — აბაშის, გეგეჭკორის, თერჯოლის, ქარელისა და ზნაურის რაიონებში სწავლების ტექნიკურ საშუალებათა აღრიცხვის, შენახვისა და სწავლებაში გამოყენების საქმეში სერიოზული დარღვევების შესახებ . . . 44

გადაწყვეტილება — მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდისათვის ქ. თბილისის 98-ე საშუალო სკოლის კოლექტივის გამოცდილების თაობაზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების რეალიზაციის ღონისძიებათა გეგმის შესახებ . . . . . . . . . . . 54

ეროვნული ბიბლიოთეკა

Решение — О плане мероприятий по реализации постановления ЦК КП Грузии «Об опыте коллектива средней школы № 98 г. Тбилиси по коммунистическому воспитанию учащихся» . . . . . . 57

გადაწყვეტილება — 1985—1986 სასწავლო წლისათვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სახელმძღვანელოებითა და სასწავლო ლიტერატურით უზრუნველყოფის შემოწმების შედეგების შესახებ“ . . . . . 60